ჩვენი ეკლესია ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. მინდა გაცნობოთ, რომ ქობულეთში, ზღვის პირას, არის შესანიშნავი ადგილი, სადაც ზაფხულობით გაზრახული გვაქვს მოვაწყოთ დასასვენებელი სახლი უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ბავშვებისათვის. მათ უნდა მივცეთ საშუალება უფრო ახლოს გაეცნონ ჩვენს წესებს, ტრადიციებს, ჩვენს ისტორიასა და კულტურას; ვფიქრობთ, ეს განზრახვა ერთ-ორ წელინადში რეალობად იქცევა და გაჩნდება კიდევ ერთი კერა თანამემაულეთა სულიერი გადარჩენისათვის.

შევთხოვ ღმერთს, უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით!

+ ილია II

**გიული ალასანია, ახოციაციის პრეზიდენტი, ფესტივალ „ჩვენებულების“ პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი**

ახალ საქართველოში ბევრ სასიამოენო სიახლესთან ერთად „ჩვენებულებთან“ შეხვედრის ტრადიციაც დამკიცდობდა. გასულ წელს საქართველო მასპინძლობდა და ტაშს უკრავდა თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და ისრაელიდან ჩამოსულ ქართველებს, რომლებმაც ქართული კულტურის ძალა კიდევ ერთხელ დაგვანახს და ამით სიამაყის გრძნობა კიდევ ერთხელ განვითარებინენ. წელს, „ჩვენებულების“ ფესტივალი მეორედ ტარდება. ამჯერად ფესტივალის გეოგრაფიული საზღვრები გაფართოვდა და საქართველოს მოქალაქეები შეხვდებიან ცხრა ქვეყნიდან ჩამოსულ ქართველებს, რომლებიც წინაპრებისაგან ნაანდერება, საუკუნეებში გამოტარებულ, ნალლობავებ შემოქმედებას დღესაც ხელუხლებლად ინახავენ.

განსხვავებულია ბედის მიუხედავად, ჩვენებულებს ქართული კულტურისა და დედასამშობლოს სიყვარული აერთიანებთ. ისინ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ერთგული მოქალაქეები არიან და ღირსეულად ატარებენ ქართველის სახელს, ამავე დროს არ წყვეტენ კავშირს დედასამშობლოსთან და ქართულ კულტურას აცნობენ მსოფლიოს.

დღეს გაერთიანების დროა. საქართველო ფართოდ აღებს კარებს და იბრუნებს თავის შვილებს. ბევრმა ქართველმა აღიდგინა საქართველოს მოქალაქეობა და მხარში ამოუდგა ქვეყნის მშენებლებს. საქართველო იმკვიდრებს ადგილს თანამედროვე სამყაროში და უცხო ქვეყნებში მცხოვრები ქართველები ამ გზაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

მივესალმები ჩვენს თანამემაულეებს, დიდ ბედინერებასა და ნარმატებებს ვუსურვებ.





**დარეჯან კუსიანიძე, ასოციაციის დამფუძნებელი, ფესტივალ „ჩვენებურების“ კოორდინატორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე**

ფესტივალი „ჩვენებურები“ აგრძელებს სიცოცხლეს. ამჯერად ჩვენ გვეწვიენ ქართული კულტურის მოამაგნი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მათი უმრავლესობა ჩვენებური, ანუ ეთნიკური ქართველია, მაგრამ ფესტივალში მონაცილეობას მიიღებენ ის ადამიანებიც, რომლებიც არ არიან ჩვენი თანამემამულენი, რომლებსაც ცოტა ხნის ნინ ნარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ქართულ კულტურაზე, ქართულ სიმღერაზე. დღეს ისინი ქართულად მღერიან, მღერიან სიამოვნებით, სიყვარულით.

ქართული ხალხური სიმღერის ფენომენზე ბევრი დანერილა და ალბათ კიდევ ბევრი დაინტერება. ჩვენი მრავალხმიანი სიმღერა ხომ ის საძირკველია, რომელზედაც ეფუძნება ერის მეობა, ხასიათი, შინაგანი თვისობრიობა. მავანნი სულ ტყუილად თვლიან გაცვეთილად ისეთ სიტყვებს, და, რაც მთავარია, მცნებებს, როგორიცაა „სამშობლო“, „მამული“, „თავდადება“; არადა, მადლობა ღმერთს, არსებობს მარადიული ღირებულებანი, რომელთაც დრო-უამი ვერაფერს აკლებს პრაგმატიზმით გაჯერებულ ჩვენს დროშიც, ასეთი ღირებულებაა ქართული სიმღერა, ქართული ცეკვა, ქართული ენა და ყველაფერი ეს მასაც ეკუთვნის, ვინც „სოფლის უკუღმა ტრიალს“ აპყოლია, ოდენ მსოფლიო მოქალაქედ უგრძენია თვე და საკუთარი აღარ ახსოვს... ასეთებს ვურჩევთ, მოპრანდნენ ფესტივალზე და საკუთარი თვალით იხილონ მაჭახელას ბერიკაცები, სტამბოლელი ქართველები: იბერია და ბაიარი, ლაზი ბიროლი, ფრანგული ანსამბლები: „ირინოლა“ და „მარანი“, რუსეთში მოღვაწე „ლაკადა“ და „იბერია“, საინგოლოდან „ლაზარე“, გერმანიაში დაარსებული ქართველ მგალობელთა გუნდი, ინეგოლის მოცეკვავთა ცეცხლოვანი ანსამბლი, ანსამბლები უკრაინიდან და საბერძნებიდან.

საოცარი ჰარმონიის ქართულ სიმღერებს არა მარტო ხმით, გულითაც მღერიან ჩვენი სტუმრები.

ჩვენებურების გული კი მონატრებული სამშობლოს სიყვარულით ძეგრს...

ბედნიერი არიან ისინი, რადგან სამშობლოსათვის უძგერთ გული.


**ბრიგოლ კალანდაპე – ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი**

უსწრაფესი ტემპებით განვითარებად მსოფლიოში მხოლოდ ის ერები და საზოგადოებები მიაღწევენ წარმატებას, რომელთაც შეუძლიათ ნარსული, ანმყო და მომავალი ერთიან, უწყვეტ, განვითარებად კონტექსტად აქციონ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ამ გზაზე კულტურული თვითმყოფადობაა. პიროვნული თუ კორპორაციული სიძლიერე სწორედ ტრადიციების სიმყარით, სხვისაგან განსხვავებულობის ხარისხით მიიღწევა.

რაოდენ სასიხარულოა, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიმოფანტული ქართველობა საკუთარ ფესტივებს არ ივინყებს.

სასურველა, რომ ქართულმა საზოგადოებამ შეიმუშაოს მიდგომები, რომელებიც ჩვენს დიასპორებს უფრო აქტიური საქმიანობის შესაძლებლობას მისცემს.

იქნებ ფესტივალი „ჩვენებურები“ ამაშიაც დაგვეხმაროს.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 19 დეკემბერს 13 საათზე ჩატარდა კონფერენცია თემაზე „საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და სოციალური საკითხები“.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესასწავლად წლების განმავლობაში ჩატარებული კვლეული საკმაოდ მნირია, ამიტომ, ბუნებრივია, სრულად ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობასა და რეალურ სურათს. მნირი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შეკრება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა რბილად რომ ვთქვათ საგანგაშოა.

ბუნებრივია, წლების განმავლობაში დაგროვილ პრობლემებს დღევანდელი ხელისუფლება მოკლე ვადაში ვერ გამოასწორებს, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორება, დონორება საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ერთიანი სამომავლო გეგმა დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად.

კონფერენციაზე დაისახა საკითხი სამთავრობო და საზოგადოებრივი სექტორის ერთიანი სამოქმედო გეგმებით მუშაობის შესახებ. უნდა შეიქმნას ერთიანი საინიციატივო მუშა ჯგუფი, რომელიც ითავებს და მიზნად დაისახავს საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესანავლას.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თსსუ რექტორმა დავით თელიამ, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ თამარ მახარაშვილმა, აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ელგუჯა ბერიამ, აკად. გიორგი ჩახუნაშვილმა, პროფ. ირაკლი ციციშვილმა, პროფ. გიორგი ბურკაძე და სხვ.

# ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის მედიკო-სოციალური პროგრესის საქართველოსა და კავკასიის ჩაგიორიშვილი

**0. ზარნაძე, ქ. ზარნაძე  
თბილისის სახელმწიფო სამაღლებრივი უნივერსიტეტი**

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები მკვეთრად აყენებენ ჯანმრთელობის განმტკიცების საკითხს, მათ შორის ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული თითოეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პოტენციალი, დემოგრაფიული პროცესების განვითარება.

მედიკო-სოციალური მიდგომით შესწავლილი იქნა და შეფასებული მომავალი თაობის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ცხოვრების ამ პერიოდში ყალიბდება პიროვნების ფიზიკური და ფსიქოლოგიური სფერო, ურთიერთობა უფროსებთან და თანატოლებთან, ხდება სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაცია ცხოვრების პირობებთან, რაც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს ინდივიდის ჯანმრთელობაზე. სხვადასხვა მეთოდებისა და მიმართულებების გამოყენება ჯანმრთელობის კომპლექსური შესწავლისათვის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამედიცინო მეცნიერებაში. თანამედროვე მეთოდები იძლევა საშუალებას, განხილული იქნას სოციალური სფეროს ყველა ასპექტები ჯანმრთელობასთან დამოკიდებულებაში.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა კომპლექსური მეთოდების გამოყენებით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და შეფასება, ცხოვრების წესის დახასიათება, სოციალური და პროფესიული სფეროს სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათება, დაკმაყოფილების ხარისხი.

ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა სპეციალური მეთოდიკა შესწავლისა და შეფასებისათვის, რექა ექსპერტული ანალიზისათვის, შესწავლილი იქნა ავადობა მომართვიანობით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. ჩატარებული იქნა ანკეტირება.

სოციოლოგიური კვლევის მიზანს შეადგენდა ძირითადი კანონზომიერებების დადგენა სოციალურ-ფსიქოლოგიური სფეროს პრობლემებისადმი ადაპტაციის, მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სტაბილიზაციის ღონისძიებების შემუშავება, სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის გაუმჯობესება, ცხოვრების წესის ფო-

რმირება. მიღებული მონაცემები დამუშავებული იქნა სამედიცინო სტატისტიკის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

კომპლექსურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საყოფაცხოვრებო, აღმზრდელობით, კომპენსატორული, კვებით, ემოციურ და სხვა ფაქტორებზე.

შესაფასებელი რუქის გამოყენებით მიღებული იქნა მონაცემები დაავადებების გავრცელების შესახებ. ავადობის სტრუქტურაში წამყვან დაავადებებებ შეიძლება ჩაითვალოს: სასუნთქი სისტემის დაავადებები (ძირითადად რესპირატორული დაავადებები), კუჭნანლავის სისტემის დაავადებები. გამოკვლეულთა ნახევარზე მეტი აღნიშნავს სამედიცინო დახმარების არასრულფასოვნებას და სამედიცინო დაწესებულებათა არასათანადო მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას. მოზარდებში პროფილაქტიკური აქტივობა აღინიშნებოდა 10%-ზე ნაკლები. სკოლამდელ ასაკში პროფილაქტიკური აქტივობა მნიშვნელოვნად მაღალი იყო.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ჯანმრთელობის შეფასებას. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ სასკოლო ასაკის პირთა შორის აღნიშნებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც შეიძლება აიხსნას სამედიცინო დახმარების დაბალი დონით, სასწავლო დაწესებულებებში პროფილაქტიკური სამედიცინო სამსახურის არ არსებობით, უხარისხო და არაბალანსირებული და არარაციონალური კვებით, არასრულფასოვანი გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით, სასწავლო პროცესის გადატირებით.

თითოეული ინდივიდის ცხოველმყოფელობისა და სოციალური სფეროს დაკმაყოფილების ხარისხის მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოების განვითარება, კვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

აღნიშნული მეთოდი იძლევა საშუალებას ჯანმრთელობის მდგომარეობასთან მიმართებაში განხილული იქნას ძირითადი სოციალური პრობლემები და შეიქმნას ინდივიდუალური რეკომენდაციები და ღონისძიებები ჯანმრთელი თაობის ფორმირებისა და აღზრდისათვის კავკასიის სიკრცეში.

# სრულიად საქართველოს გენიციის მუშაკთა დაცვის ასოციაცია „ღება ღა ბავშვი“

## თქმა გაიცემრასთ იცოდეთ, რას წარმოადგენ ჩვენი ასოციაცია? ჩვენ – სხვები გართ

პირველ რიგში, ნება მომეცით, მადლობა გადაიხადოთ, რომ დაინტერესდით ჩვენი პრობლემებით და გადაწყვიტეთ გაუცნოთ ასოციაციის პოზიციებს მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ჩვენი ასოციაცია უკვე რვა წელია ფუნქციონირებს. იგი დაფუძნებულია კანონის ყველა მოთხოვნით, იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლოს შესაბამისი დადგენილებით. ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებს ექიმის ფიცისა და მორალურ-ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით.

ამ დუხჭირი წლების განმავლობაში ასოციაციამ შეძლო ორმოცდაათამდე მარტოხელა მედიკოსის (მიუხედავად მათი სტატუსისა) ფიზიკური გადარჩენა. უმნეოებს ვეხმარებოდით და დღესაც ვეხმარებით როგორც მედიკამენტებით, ისე კვების პროდუქტებით. ამ კეთილმობილურ საქმიანობაში ლომის წილი ჩვენი ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებს ეკუთვნით. ისინი არ ეპუნდოდნენ მძიმე საყოფაცხოვრები პირობებს (უშუქობას, ულიფტობას, სიცივეს, ტრანსპორტის არ ქონას), შეუპოვრად ერკინებოდნენ ყოველგვარ სირთულეს და ეს ყველაფერი ფინანსური უზრუნველყოფის, ე. წ. გრანტების გარეშე ხდებოდა.

ასოციაცია რეგულარულ დახმარებას უწევს მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრს „მომავლის სახლი“, ჩვენი მედიკოსები სისტემატურ გამოკვლევებს უტარებენ ამ სახლის აღსაზრდელებას.

ჩვენი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ სოციალური დახმარებით. სწორედ ასოციაციამ აიძულა წინა მთავრობა მეორე ეტაპის ობიექტების პრივატიზება ისე ჩატარებინა, რომ სამედიცინო მაფიას არ შექლებოდა მათი ხელში ჩაგდება და ისინი მედპერსონალის საკუთრება გამდარიყო.

ასოციაციის დამასურებაა ისიც, რომ მედპერსონალის ლიცენზირებამ ადამიანური სახე მიიღო და ერუდირებულ მედიკოსს ცოდნა არ ეკარგება. მას უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს ტესტებს და საჭიროების შემთხვევაში რამდენჯერმე გავიდეს გამოცდაზე. შედეგად ლიცენზირება ხდება არა ისე, როგორც ფერშლის „რეფორმატორებს“ პქონდათ გადაწყვეტილი. რაც ათასობით მედიკოსის უმუშევრობასა და სამედიცინო ობიექტების დახურვას გამოიწვევდა. ჩვენ დღესაც აქტიურად ვმონანილებთ სამედიცინო დაწესებულებებისა და მედპერსონალის ლიცენზირებაში. მივესალმებით და ვეხმარებით ექიმთა დახელოვნების აკადემიის მიერ შემუშავებული ლიცენზირების პროგრამების განხორციელებას (რექტორი გაი მენაბდე).

ორგანიზაციას გააჩნია ფილიალები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, რაობისა და სამედიცინო დაწესებულებაში. ამ მრავალრიცხვოანი მედპერსონალის სახელით თავს უფლებას ვაძლევთ გავანაბლიზოთ, თუ რატომ ცდილობენ მავანი სამედიცინო საზოგადოების პოლიტიზირებას; გვსურს დავსახოთ გზები ხელისუფლებისა და მედიკოსთა დასახლოვებლად და იმ დესტაბლიზაციის თავიდან ასაცილებლად, რომლისკენაც მედპერსონალს უბიძებენ სხვადასხვა ავადმოსურნე ადამიანები თუ პოლი-

ტიკური „ლიდერები“.

სამედიცინო სფეროს მუშაკების მაკონრდინირებელი არა-სამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ნამდვილად იცავენ მედიცინის მუშაკთა სოციალურ ინტერესებს, ჩვენს გარდა, არ არსებობენ. ამაში დიდი წვლილი შეიტანა წინა მთავრობამ. კერძოდ, მედიცინის იმდროინდელი მესვეურები თავიანთი რეგიონული ვოიაჟების დროს, მინისტრის მითითებით, აშკარად ცდილობდნენ ასოციაციის დამლასა და იმიჯის შეღაბვას. ამისთვის არაფერს თავილობდნენ. სამედიცინო საზოგადოებას სთავაზობდნენ მათ მიერ შექმნილ „ჯიბის“ არასამთავრობო ორგანიზაციებში განვერიანებას. სახელმძღვანელო, ერთ-ერთმა ყოფილმა მინისტრმა იმერეთში სტუმრობისას მედიკოსებს მცდარი ინფორმაცია მიაწოდა. უთხრა, რომ ჩვენი ასოციაცია დაიშალა და სამაგიეროდ მოუნიდა, შეერთებოდნენ ინფორმაციას, რომელიც სახელმობდით (მაგრამ არა მიზნებით) ჩვენი იდენტური იყო; როგორც ხედავთ, ყველაფერი ხდებოდა, სახელწილდების დუბლირებაც კი, მედმუშაკთა შეცდომების შესავანად. თუმცა ამ მცდელობებმა შედეგი ვერ გამოილო, რაც თქვენი დამსახურებაა, კოლეგებო! როგორც მოგეხსენებათ, მედიკოსებს შესანიშნავი უნარი აქვთ, გააანალიზონ მთავრობის, ისევე როგორც პაციენტის, სიმპტომების და სწორი დაგნოზიც დასვან. მართლაც, სამედიცინო საზოგადოების ერუდიციამ და სიბრძნემ კიდევ ერთხელ იჩინა თავი და მალევე გამოაშარავა ამ შტრიებრერული კომიტინების ნამდვილი მიზნები, მიმართული ქართველი ხალხისა და კონკრეტულად, მედპერსონალის დასალუპად. წინა მთავრობამ თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობით ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი, უფრო მეტად გაგვაძლიერა და გაგვაერთიანა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამედიცინო სზაოგადოების ნდობა ჩვენი ასოციაციის მიმართ, რისთვისაც კიდევ ერთხელ გამოვხატავთ მადლიერებას.

დღეისათვის ჩვენს რიგებში ოციათასამდე მედიკოსია, ასოციაციას გააჩნია რეგიონული და რაიონული ორგანიზაციები, რომლებიც ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე ყველა სახელმწიფოებრივ პროცესში აქტიურად იღებენ მონაწილეობას.

ჩვენს დარგში მეტად როული მდგომარეობაა, პრობლემაც ბევრია, ვინაიდან სისტემა რეფორმატორულ პროცესში იმყოფება; ეს კი ყოველთვის მტკიცებულია როგორც პაციენტისათვის, ისე მედიკოსებისთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახლანდელ მთავრობას მემკვდრეობით არასწორო, რამდენიმე ოჯახის გამდიდრებისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა და სიღაბატყის დონემდე მიყვანილი მოსახლეობა, ასევე დანგრეული სამედიცინო დაწესებულებები ერგო.

საქართველოში წლების მანძილზე გამეფებული ტოტალური სასონარკვეთილება პირველად ამ ორი წლის წინ გაფერმკრთალდა. გაგვიჩნდა იმედი, რომ ახალმა პრეზიდენტმა და მთავრობამ სწორად გაიგეს რეფორმის რეალური არსი და მიხვდნენ, რომ ეს არ არის მხოლოდ ექიმთა საქმე, მასზე პასუხისმგებლი მარტო სფეროს

მუშაკები ვერ იქნებინ და უფასო, თანამედროვე სამედიცინო სისტემის შექმნა შეუძლებელია მთელი სამთავრობო გუნდის კომპლექსური მუშაობისა და მზარდი დაფინანსების გარეშე.

ჩვენს დარღვ პირველად ჰყავს თავისი რიგებიდან ელექტრორატის მოთხოვნით დანიშნული მინისტრი – ბატონი ლადო ჭიაშვილი. მან პირველმა, სადაზღვევო ფონდის ხელმძღვანელებთან (ზაზა სოფრომაძე, ვატონ სურგულაძე) შეძლო ჰენსიონერთათვის ჰენსიონისა და სამედიცინო დაწესებულებებისთვის კი კუთვნილ ასიგურებათა დროული მნიშვნელი, აგრეთვე დაიწყო დავალიანებათა გასტუმრებაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზ. ნოღაიდელმა, მისი ფინანსთა მინისტრობისას შევარდნაში მთავრობაში მოახერხა ჯანდაცვის სფეროსათვის თანხების დროული გადარიცხვა, თუმცა ამ ფულს ჩვენამდე არ მოუღწევია. სამედიცინო ობიექტები თანხას ან ლარის ინფლაციის წინა დღეს იღებდნენ, ან მუდმივად ისმენდნენ განმარტებებს იმის შესახებ, რომ მთელი თანხა ტუპერულობისა და ფაქტურიული სისტემებისთვის დახარჯა. ნამდვილად კი, როგორც ახლა გაირკავა, ამ დარგებიც არაფერი გაკეთებულია.

პრეზიდენტის გუნდის მიერ საფინანსო სფეროს სწორმა და, რაც მთავარია, პატიოსანმა ადმინისტრირებამ მოგვცა ის შედეგი, რომ დაწესებულებებს გაუჩინდათ ავტონომიური სასსრები, რათაც ბევრმა მათგანმა რემონტისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება მოახერხა. შემცირდა მათ მიმართ სახელმწიფოს დავალიანებაც. დაწყებულია სიღარების დაძლევის პროგრამა, რომლისთვის საჭირო სახსრები წინათ ჩინოვნითა ჯიბებები იღებებოდა.

პრეზიდენტი და მთავრობა მოქმედებენ არა პირადი მერკანტილური და კარიერისტული მიზნებისათვის, არამედ მოსახლეობისა და მედერსონალის ინტერესებიდან გამომდინარე. პირადად მათთვის ეს ნამებიანიც კია, რადგანაც მათი საქმიანობა არ გულისხმობს ხმაურიან პირაკაბანებსა და იაფებასიან რეკლამას, არამედ ის მიმართულია პაციენტების, მედიკოსებისა და სოციალურად დაუცველი ფენების საეთილდღეოდ.

ბევრმა არ იცის, რომ დღეს საქართველოში გლობალური ფონდისა და ევროკავშირის დახმარებით ასამდე ამბულატორია შენდება. რეალურად დაიწყო პირველადი ჯანდაცვის განვითარება. მზადდება კადრები. იმერუთში გაისანა მრავალპროფილანი თანამედროვე საავადმყოფო. არ გადის არც ერთი კეირა, რომ არ იხსნებოდეს ახალი ან გარემონტებული სამედიცინო დაწესებულება. მთელი საქართველოს ტერიტორიაზე უზენტიონირებს უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება და ყველაფერი ეს არა მედიკოსების ხარჯზე, არამედ მათი ინტერესების გათვალისწინებით ხდება.

ასოციაციის მიღებად შეიძლება ჩაითვალოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამედიცინო დარგის საგადასახადო სფეროს გასაუმჯობესებლად, რის შედეგადაც ჩვენი დაწესებულებები გათავისუფლდნენ იმ გადასახადებისაგან, რომლებიც სასაცილო და შეურაცხმყოფელი იყო (საგზაო, სამეცნარებელი და სხვა), აღარ ხორციელდება ჯანდაცვის სამინისტროს რეკეტული შემონმებები.

სამუშაოროდ, ყველა ხელისუფლება ცდილობს დაიახლოვოს მხოლოდ ორი ტიპის არასამთავრობო როგანიზაციები: პირველი – უკვე ანგაუირებული, გრანტებით გამდიდრებული და მეორე – ფსევდოიდიზიციური, ხელისუფლების მღანდლები, სუბიექტური კრიტიკით, სიტუაციის გაუთვალისწინებით, თავიანთი სარეკლამო საქმიანობისკენ მიმართული.

დასანანია, აგრეთვე მასმედიის პოლიტიკაც, რომელიც, თითქმის მხოლოდ ყურითმორთმეულ სენსაციებსა და ნეგატივზეა ორიენტირებული. რადიო და ტელეკომპანიები მუდმივად ერთი და იგივე, თანაც ისეთ პირებს ინვევენ

ღია ეთერში, ვინც დიდი ხანია, ამონურეს თავიანთი შესაძლებლობები და საზოგადოებას რეალურსა და ქმედით ვერაფერს სთავაზობენ. მათი სისტემური გამოსვლები მხოლოდ ზეგატიურ შედეგებს თუ მოიტანს.

ამ წეროლის სათაურში ჩვენ განვაცხადეთ, რომ სხვები ვართ. ეს კი იმით გამოიხიბრება, რომ ჩვენი ორგანიზაცია ცდილობს სასურველ შედეგს მთავრობასთან კონსენსუსით მიაღწიოს და არა პოპულურისტური მეთოდებით. ხელისუფლების ზოგიერთი ნარმომადგენლისათვის კი იგი თავისი უმართვადობის გამო, ნაკლებად მიმზიდველად ჩჩება. თუმცა საზოგადოებაში, სწორედ ჩვენი მსგავსი არიან პოპულარული. ისინი, ვინც მიზნმიმიბრაზეად, ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობები დღევანდველი საკმაოდ მძიმე სიტუაციის გამოსწორებას რეალურად არსებული გეგმებით.

ჩვენი ასოციაციის სამოქმედო გეგმა ასე გამოიყურება:

1. არავითარი პარტიული ზემოქმედება ჩვენს მოძრაობაზე – პარტკომების დრო გავიდა.

2. ვითანამშრომლოთ ყველა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურასთან, რათა შევძლოთ მედიცინის სფეროს სწორ განვითარებაში შესამჩნევი წვლილის შეტანა.

3. გამოვცხადოთ დაუნდობელი ბრძოლა ექიმებაშებსა და არალიცენტირებულ სამედიცინო საქმიანობას.

4. მჭიდრო კონტაქტი ვიქტორით მასმედიასთან, რათა არ მოხდეს საზოგადოების დეზინფორმირება და დასტაბილიზაციისთვის ხელის შეწყობა.

5. ეთხოვოს პრემიერსა და დარგობრივ მინისტრებს, რომ მოხდეს დაფინანსება ცალკე მოადგილეთათვის, რომელიც დაკავებული იქნებიან მხოლოდ არასამთავრობო სექტორთან მუშაობით.

6. ეთხოვოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ბატონ ლადო ჭიაშვილს, გამონახოს სასსრები და ფართობი ერთობლივი სამედიცინო გაზეთის „მედიკოსის“ დაფუძნებისა და გამოშვებისათვის, რათა სისტემატურად და შეუფერებლად მოხდეს სამინისტროს პოლიტიკისა და მუშაობის გაშუქება, საგამოცდო ტესტებისა და მედიცინის თანამედროვე მიღწევებთან დაკავშირებული სტატიების გამოქვეყნება.

7. ეთხოვოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, რომ ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები შეყვანილ იქნები მინისტრის საბჭოს, ყველა კომისიის, მათ შორის – სალიცენზიო, სადაზღვევო, სატენდერო და სხვათა შემადგენლობაში. აგრეთვე:

ა) შემუშავდეს მედიკერსონალისათვის განკუთვნილი სოციალური პროგრამები (სადაზღვევო, საპენსიო, სადოტაციო და ა.შ.), აგრეთვე ასოციაციის უშუალო მონაწილეობით და კონტროლით დაიგეგმოს და განხორციელდეს მედუმშავთა სამედიცინო დაზიანებების შემონმებების პროგრამა.

ბ) მოხდეს ჩვენი ორგანიზაციის ჩართვა ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელი ყველა ჯგუფის მუშაობაში.

გ) მოვთხოვთ იპტიმიზაციის შედეგად დასატოვებელი ან შესაქმნელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევის, მათი კადრებით დაკომპლექტების პოლიტიკა იყოს ღია და გამჭვირვალე და განხორციელდეს ჩვენი უშუალო მონაწილეობით და მეთვალისწინებული შემონმებების პროგრამა.

დ) მოხდეს ეთერში რიგორიზაციის ჩართვა ჯანდაცვის პოლიტიკის მიღწევების განკუთვნილი სოციალური პროგრამების მინისტრის, რომ ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები შეყვანილ იქნები მინისტრის საბჭოს, ყველა კომისიის, მათ შორის – სალიცენზიო, სადაზღვევო, სატენდერო და სხვათა შემადგენლობაში. აგრეთვე:

ა) შემუშავდეს მედიკერსონალისათვის განკუთვნილი სოციალური პროგრამები (სადაზღვევო, საპენსიო, სადოტაციო და ა.შ.), აგრეთვე ასოციაციის უშუალო მონაწილეობით და კონტროლით დაიგეგმოს და განხორციელდეს მედუმშავთა სამედიცინო დაზიანებების შემონმებების პროგრამა.

ბ) მოხდეს ეთერში რიგორიზაციის ჩართვა ჯანდაცვის პოლიტიკის მიღწევების განკუთვნილი ყველა ჯგუფის მუშაობაში.

გ) მოვთხოვთ იპტიმიზაციის შედეგად დასატოვებელი ან შესაქმნელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევის, მათი კადრებით დაკომპლექტების პოლიტიკა იყოს ღია და გამჭვირვალე და განხორციელდეს ჩვენი უშუალო მონაწილეობით და მეთვალისწინებული შემონმებების პროგრამა.

დ) რეალური ამოქმედდეს მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა ჯანდაცვის მინისტრს, სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა ასოციაციის „დედა და ბავშვი“ შეძლოს თავისი მიზნების განხორციელდება. ესენია:

1. მედიკოსთა სოციალური უფლებების დაცვა;

2. ჯანდაცვის სწორი განვითარებისთვის ხელის შეწყობა;

3. შუამავლის როლის შესრულება სახელმწიფო, არასახელმწიფო ორგანიზაციებსა და სამედიცინო კოლექტივებს შორის, რაც, საბოლოო ჯამში, თავიდან აგვაცილებს არაკეთილმოსურნეთა ჩარევასა და ამით გამოწვეულ დესტაბილიზაციას.

გასაკეთებელი კიდევ ბევრია – მოსაგვარებელია საკადრო პოლიტიკა, გასუმჯობესებელია რეგიონებთან მუშაობა, განსახირციელებელია საქართველოს გენერიკური ფონდის გადარჩენისთვის მოწოდებული ეროვნულ-დემოგრაფიული პროგრამა, რომელიც გულისხმობს ტუბერკულიზის, შიდსის, უსაფრთხო სისხლის, დედათა და ბავშვთა დაცვის და სხვა პროგრამების პრიორიტეტულობას.

მოგინდებთ, რომ ერთად გავანალიზოთ ძირითადი პრობლემები, დავსახოთ მათი მოსაგვარებელი გზები და შევიმუშავოთ ამისათვის საჭირო ეფექტური პროგრამები, რათა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემაში ჩვენთვის, ყველასათვის კეთილსამედო მდგრამარეობა შეიქმნას. ამისათვის კი, თქვენი თანადგომა, აქტიური მხარდაჭერა და თანამშრომლობა გჭირდება.

სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ლ. ს. მაალაპა**  
გაზეთი „მედიკოსი“

## უაღკოპოლო სასელები ბავშვთა კვებაში

### ეუთათელაპა ლ. - ტექნიკის მეცნიერებათა კაცილატი

დღეს მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის ცხოვრებასა და მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, რომელიც განისაზღვრება ბალანსირებული კვებით. ამ ღონისძიების განხორციელებაში არანაკლებ როლს ასრულებს საკვები პროდუქტები, რომელიც ერთის მხრივ დააკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მეორეს მხრივ იქნება ადამიანისთვის უკნებელი.

კვების მრეწველობის სხვა დარგებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია უალკოჰოლო სასმელების წარმოება. უალკოჰოლ სასმელებს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საკვებ პროდუქტს, ყველა ასაკის მომხმარებლისთვის, მაგრამ ისინი განსაკუთრებულია ბავშვებისათვის. ბავშვებს ძალიან უყვართ ტკბილი სასმელი, თუმცა მათთვის არავინ არ ზრუნავს და არ შეუქმნია უალკოჰოლო სასმელი, როგორც გამაგრილებული და როგორც ბავშვების ჯანმრთელობისათვის სასარგებლო, რადგან უალკოჰოლო სასმელები მზადება ძირითადად შაქრისაგან, ლიმონის მჟავის, ნაბშირმჟავა გაზისა და, რაც მთავარია, ხილ-კენკროვანი ნცვენებისა და ნაყენებისაგან; ასევე ბოსტნეულისა და ბალჩეულის ნაყენებისაგან, რომლებიც მდიდარია ვიტამინებით, მიკრო და მაკრო ელემენტებით და სხვა ბიოაქტიური ნივთიერებებით.

უალკოჰოლო სასმელების ზრდასა და მოხმარებას მსოფლიოში მყარი ტენდენცია აქვს. ასე მაგალითად, უალკოჰოლო სასმელების მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა (ლ/1 სულზე): გერმანიაში – 195, ამერიკაში – 164, ბელგიაში – 129, ჩეხეთში – 110, შვეიცარიაში – 55, რუსეთში – 50, სომხეთში, უკრაინასა და საქართველოში – 26, ბელორუსიაში – 22, ლიტვაში – 27. ლატვიაში – 23. მაგრამ არავის არა აქვს განვითარებული, რამდენი ლიტრი უალკოჰოლო სასმელი იხარჯება ბავშვებისათვის. ან როგორ სასმელს ღებულობენ ისინი.

მართალია, ადრეულ პერიოდში, როდესაც ქუხდა ლალიძისეული უალკოჰოლო სასმელები, მაშინაც არავინ არ აქცევდა ბავშვებს ყურადღებას.

დღეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც ცდილობენ დაამზადონ რაც შეიძლება მეტი სასმელი და გაასაღონ იაფად, შექრის ნაცვლად იყენებენ შექრის შემცვლელებს – საქარინს, სვიტლს, ასპარტამს და სხვ. ბავშვებს

აწვდიან უხარისხო, ბავშვებისთვის მავნე სასმელებს, რომელიც უზიანებენ მათ ღვიძლს და ხშირი ხმარებით გახდიან გონებადაკვეთებულს, რის ნათელ წარმოდგენას იძლევა უზრნალ „პიშჩევაია პრომიშლენოსტის“ რედკოლეგის წევრის კუდრიაშვილის მონაცემები სარგებლობს მფიციალური ცნობით, რომელიც გააკეთა 1966 წლის 26 დეკემბერს აშშ პროგრამა „60 წუთმა“, რომ „NUTRA SWEET-ით“ დამზადებულმა საკვებმა პროდუქტებმა ხშირი ხმარების შემდეგ ცხოველებში გამოიწვია თავის სიმსიცნე.

არა და აუცილებელია, ბავშვებს მიეწოდოს ვიტამინებით, ამინომჟავებით, მიკრო და მაკრო ელემენტებით მდიდარი ნცვენები, სასმელები.

ჯანმრთელი კვება არის გარანტი ბავშვების ნორმალური ზრდისა და განვითარებისთვის. ამიტომ საჭიროა, ყურადღება მიექცეს სანარმოებას და სავაჭრო ობიექტებს, ბაზრობებს, სადაც იყიდება უალკოჰოლო სასმელები დამზადებული მხოლოდ ხელოვნური დამატებობლებით ასპარტამით, საქარინით და მრავალი სხვა დაუსაბუთებელი დამატებობლებით. ასევე სინთეზური არომატიზატორების გამოყენებით.


პროდუქტები იყიდება ყოველგვარი გამაფრთხილებელი წარწერების გარეშე, რომლითაც სარგებლობენ არა მარტო დიაბეტით დაავადებული, არამედ ჯანმრთელი ადამიანები და ძირითადად ბავშვები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, დამზადდეს უალკოჰოლო სასმელები ერთიდან ათ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, სადაც გამოყენებული იქნება ჩეხი ფლორა, ტრადიციული და არატრადიციული, კულტურული და ველურად მზარდი მცენარეები. შესწავლილი იქნება მათი ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები, ასევე მათი სამკურნალო თვისებები. შერჩეული უსაფრთხო, ეკოლოგიური სუფთა ხილისაგან, ბოსტნეულისა და ბალჩეულისაგან დაავადებოთ მსოფლიოში პირველად უალკოჰოლო სასმელები 1-დან 10 წლამდე ბავშვებისთვის, როგორც გაზირებული, ისე არაგაზირებული. შეიქმნას ახალი ტექნოლოგიები უალკოჰოლო სასმელების დასმზადებლად.

გადავარჩინოთ ბავშვები სხვადასხვა დაავადებებისა და გონების დაკვეითებისაგან.

## შემოქანა-ნაგებობები სანიტარულ-ჰიგიენიკი მოთხოვნილებების მიხედვით ნორმებისა და ნივალის დარღვევის შესახებ

**(მოსახლეთა ნაბითებლის საქართველოს პამართარებლ და სახელმწიფო  
მინისტრის მიერ 2005 წლის 22 ივნისი)**



### პროფ. პიაზო ნაციციშვილი

**მოკლე ძოსი:**

- საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი
- სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
- თბილისის სახელმწიფო სამსახურის აკადემიის პროფესორი
- საქართველოს პუმარეტარულ და სახელმწიფო მინისტრის მიერ 2005 წლის 22 ივნისის დამადასტური ნორმის მიერ დამადასტური ნორმის მიერ დამადასტური.

არქიტექტურის და მედიცინის ერთობლივი მიზანია, შეუქმნათ ადამიანს სუფთა გარემო და და ვიზურუნოთ მის ჯანმრთელობაზე.

როგორც წესი, შენობა-ნაგებობების პროექტის შედეგნისას არქიტექტორებსა და ინჟინერებს ევალებათ გაითვალისწინონ ის სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები, რასაც ითვალისწინებს სამშენებლო ნორმების დაწესების კრებული.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ თბილისის განაშენიანებაში?

თუ გადავხედავთ თბილისის ძეგლი შენობა-ნაგებობების მდგომარეობას, ამ თვალსაზრისით უამრავ დარღვევებს აღმოვაჩინთ.

როგორც მოგეხსენებათ, ადრეულ პერიოდში პროექტის მიხედვით მშენებლობა თითქმის არ წარმოქმულა და თვითნებურად, სტიქიურად შენდებოდა ქალაქი, ამიტომ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს ნაკლებად ითვალისწინებდნენ.

როგორი სახის დარღვევებს ჰქონდა ადგილი?

არ იყო გათვალისწინებული თბილისის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მისი კლიმატური პირობები, რომ იგი მდებარეობს დედამიწის განედის 43-ე პარალელზე, ამიერკავკასიის კლიმატური დარაიონების IV-B ზონაში, ამიტომ, თუ ამ მოთხოვნილების მიხედვით ვიმსჯელებთ, ძეგლად აშენებულ სახლებს არა აქვს საცხოვრებელ სათავსოთა ოპტიმალური რაოდენობის სწორად შერჩეულ მხარეს ინსოლაციის, ბუნებრივი განათების, გამჭოლი განიავება. ზოგან ნაწილობრივ იყო გათვალისწინებული. მაგრამ დროთა განმავლობაში იქნა გადაკეთებული უარესისკენ და კომფორტს მოკლებული აღმოჩნდა.

აგრეთვე მეტ წილად არასწორად იყო მოწყობილი შიდა ეზოები, სადაც დიდი იყო განაშენიანების სიმჭიდროვე. არ ითვალისწინებდნენ რელიეფის სირთულისა და ფართობის სიმცირეს. ეზოს არ ჰქონდა ნორმალური განათება და მზის სხივებს იყო მოკლებული. ჩაბნელებული ეზოს გამო საცხოვრებელი სათავსო-

ებიც ჩაბნელებული იყო.

ბევრი ეზო მოკლებული იყო გამწვანებას. აქ ავტოგასაჩერებლებიც მოაწყეს.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ძეგლ განაშენიანებაში ცხოვრებას თავისებური ხიბლი ჰქონდა და ჰქონდა მის შესანიშნავი მაგალითი იყო იქ შექმნილი ატმოსფეროთი: მაცხოვრებლებს უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ და ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ. ყურადღებას არ აკლებდნენ ბავშვებს და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს უტოვებდნენ.

გარდა მაგისა, ასეთი ძეგლი თბილისის ეზოებში ზოგიერთი შენობა თავისი არქიტექტურულ-მხატვრული იერსახით, მისი მარავალნაირად შეკაზმული აუზურული აიგრინის ახლებით დღესაც ყურადღებას იმსახურებს, რომელთა მრავალი ჩანახატი ნატურიდან გავაკეთე, რათა ამით ძეგლი თბილისის საინტერესო ისტორიას შემდგომში შემოუწანოთ. რადგან ზოგიერთი მათგანი დროთა განმავლობაში დაზიანდა, დაინგრა და გადაკეთე.

თბილისის ძეგლი განაშენიანების საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებშიც ვხვდებით მთელ რიგ დარღვევას. ზოგიერთ იფისებს, დერეფნებს, კიბის უჯრედებს, ბუნებრივი განათება არა აქვთ, რაც დაუშვებელია.

ამ ბოლო დროს თბილისში დაიწყეს რეკონსტრუქცია. რეგენერაციის სამუშაოები, რამაც ნაწილობრივ გამოასწორა მდგომარეობა, ასეთებია: ბარათაშვილის, კიბალჩიჩის, შარდენის, ბამბის ქუჩების და სანაპიროს განაშენიანების ზოგიერთ მონაკვეთზე, რაც მისასალმებელია.

რა მდგომარეობაა ამჟამად თბილისში მშენებლობებზე?

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს შეიმჩნევა პროფესიონალურ დონეზე დაპროექტებულ შენობების სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებათა დაცვა, მაგრამ დანარჩენებთან ხშირია შემთხვევები დარღვევებისა.

რამდენიმე წლის წინ იყო ერთი პერიოდი მაღალ შენობებზე ლოჯიების მოშენებისა, რაც დადგებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან ქალაქის საბინაო ფონდს შემატა უზარმაზარი საცხოვრებელი ფართი. მოსახლეობამ მიიღო საშუალება ბინის ფართობის გაფართოებისა და ბინებზე მოთხოვნილება შემცირდა, მაგრამ ამასთან ზოგიერთ სახლებზე მოშენებისას მოხდა სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნილებათა დარღვევა. რაც გამოიხატა შემდეგში: მოხდა ლოჯიების დამატებით 2-ჯერ, 3-ჯერ მიშენება, რამაც გამოიწვია შიდა სათავსოთა ჩანელება, რის გამოც ოთახები „ავადყუოფ“ ოთახებად აქცია, რაც დაუშევებელია.

ახლ აშენებულ შენობებში ვხვდებით აგრეთვე, მთელ რიგ დარღვევებს. არ ნიავდება კიბის უჯრედები, ზოგან ბუნებრივი განათება არაა საკმარისი, სანიტარული კვნძები მოკლებულია სავნენტილაციით არსებს. სამზარეულოს სათავსო გაერთიანებულია სასტუმრო ოთახთან, რადგან საჭმლის სუნი ვრცელდება. საპირფარეშო მოთავსებულია უშუალოდ მისალებ ჰილთან. უნდა იყოს იქვე, მაგრამ მოფარებული და სხვა.

საზოგადოებრივ შენობებში არ არის სწორად დაპროექტებული კვანძები, რომელთა საკანალიზაციო მილები ჩადის ქვედა სართულის სამუშაო თოთახებში და ვესტიტულში.

დაუშვებელია მიწისქვეშა და მეტროების გადასასვლელებში სავაჭრო და სხვა დანიშნულების სათავსოების მოწყობა, რადგან მთელი წლის განმავლობაში, სადაც მუშაობენ თანამშრომლები მოკლებული არიან ბუნებრივ განათებას, მზის სხივის ინსოლაციას და გამჭოლ განიავებას. მითუმეტეს ქალაქში გვხვდება ასეთი ნაებბობებიც საქმაოდ დიდი მოცულობისა, სადაც მრავალი თანამშრომელი მუშაობს.

ქალაქში დიდ უხერხულობას იწვევს ხმაური, მით უმეტეს ცენტრალურ ნაწილში. ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობისაგან ხმაურის ნორმა 50 დეციბელზე მეტი არ უნდა იყოს. თუ მეტია, იწვევს ადამიანთა ნერვიულ აშლილობას და დეპრესას.

მისახედია ტრანსპორტის ტექნიკური მოწყობილობის წესრიგში მოყვანა, რადგან გაუმართავი მანქანის გამნაბოლევი წამლავს გარემოს, ჰაერს და ეკოლოგიურ დარღვევებს იწვევს, რაც ნორმების უხეში დარღვევაა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის საზიანო.

ტრანსპორტის მოძრაობის უკეთ წარმართვისათვის მოიფიქრეს ე. წ. „სამუშაოების“ სქემის შექმნა, რამაც არ გაამართლა და მიმდებარე ქუჩებთან საცობები და გამონაბოლევი გაზების ნორმებზე დიდი სიჭარბის გამო აუტანელი პირობები შექმნა.

ასეთი შეცდომა არ იქნებოდა დაშვებული, რომ კარგად ავგენონა და სათანადო დონეზე მოვცევიქრებინა, მით უმეტეს, რაკი გმირთა მოედნის გარევეულ მონაკვეთს ვეხებოდით, საქმისთვის უკეთესი იქნებოდა და ეთიკურადაც გამართლებული საქმის კურსში ჩავეყენებინე, როგორც გმირთა მოედნის პროექტის ავტორი, რომელსაც თავის დროზე ხუთი წლის განმავლობაში ვაპროექტებდა და ვეწეოდი საავტორო ზედამხედველობას მშენებლობაზე. მაქვს სათანადო გამოცდილება და სემინარები ასეთ საეითხებზე გავლილი მოსკოვში, ჰელსინკიში, სუხანოვოში. სატრანსპორტო კვანძში ასეთი სანინაალმდევო მიმართულების, მოძრაობის გამართვა მთელ მსოფლიოში არსად არ არის გაკეთებული. ამიტომ იგი გასაუქმებელია. მანდ კი, საჭირო იქნება გა-

გრძელდეს II-III რიგის სამუშაოები, რომელიც პროექტით ადრე იყო გათვალისწინებული და შეთანხმებული.

ჯამბრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქალაქის გამნვანებას, რაც ნორმასთან შეფარდებით თბილისსთვის მცირება.

აღნიშნული დარღვევების აღმოსაფხვრელად მიგვაჩინია, რომ, აღბათ, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად ახლო მომავალში უნდა შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომლის შემდაგენლობაში უნდა შევიდნენ არქიტექტორები, ინჟინერები და სანიტარულ-ჰიგიენური ექიმები.

მათ მიერ შესწავლილი უნდა იქნეს და დაზუსტებული, თუ რამდენად შეესაბამება ძველ თბილის ყველა შენობა-ნაგებობა, რომელთა თითქმის მესამედი ვერ იმსახურებს ძეგლად აღიარებას თავისი არქიტექტურულ-შსატვრული მნიშვნელობით, აგრეთვე სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისითაც. ასეთი შენობის მეტი ნაწილი თავისით ინგრევა, უკიდურესად დაზიანებულია მინისტრის და ხანდაზმულობის შედეგად, ამიტომაც ისინი შემოწმების შემდეგ უნდა დაინგრევს და მათ ადგილზე შენობები აშენდეს თანამედროვე მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

უნდა გამაკაცრდეს პროექტის შეთანხმებისას სათანადო ინსტანციებში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნილებები და მათი განხორციელება მშენებლობაზე.

ლოჯიების მიშენებაზეც იქ, სადაც 2-ჯერ და 3-ჯერ იქნა მიშენება განხორციელებული, ნაწილობრივ შეიძლება მათი გამოსწორება, თუ მაცხოვებლებს ვურჩევთ წინა არსებული შემინვის მოხსნას და მისი აივნად გადაეცევას.

რაც შეეხება ქუჩის ქვეშ და მეტროების კიბებსა და გადასასვლელებში მოწყობილ სავაჭროებს, გასაუქმებელია. ხოლო იქ არსებული სათავსოები გამოყენებულ იქნას დროებით მოხმარების მიზნით.

აქ მუდმივად მომუშავენი შეიძლება დაავადდნენ, ამიტომ უნდა შეიქმნას ნორმალური პირობები სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით და მათი სათავსოები უნდა განლაგდეს უმთავრესად მეტროების მიწი-ს და სადგურების გარშემო. სადაც შედარებით უარმავი ხალხი იყრის თავს და მყიდველი დროსაც ნაკლებს დაკარგავს, როგორც ამას ამ ბოლო დროს საზღვარგარეთ აეთებენ.

მისახედია და შესაძლებლად შესასწორებული საზოგადოებრივ-ადმინისტრაციულ შენობებში დერეფნის, კიბის უჯრედების ბუნებრივი განათება და განიავება, უნდა გამოიჭრას სათანადო ლიობები ან ფარნები.

თბილისის დაბინძურებული ჰაერის გაუმჯობესება შესაძლებელია, თუ ხეობები ნაგავსაყრელებად არ იქნება გამოყენებული და ნაგავსაყრელები დროულად გაინმინდება, გავზრდით გამნვანების ფართობს, რაც ნორმასთან საკმაოდ ნაკლებია, ამასთან იგი იძლევა საშუალებას შევემნათ დამცაცი გამნვანების ზოლები განაშენიანებაში, ხმაურის, მტვრის, მომნამდევრობის აირის შესამცირებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დავასკვნით, რომ დროა და აუცილებელი, თბილისში გატარდეს სათანადო ლონისძიებები, რათა აღმოიფხრას არსებული დარღვევები.

რედაქცია ულოცავს  
გიაზო ნახურიშვილს 80 წლის იუბილეს.

# ფრინველის გრიპის საშიმროებები

საცდრო ნაცერიანი

## ალფირნაფიზა „ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანია“

თემა, რომელსაც უნდა შევეხო, პრინციპში, ყველაზე აქტუალურია. აქტუალობასთან ერთად შემზარავიც, რადგანაც შესაძლებელია საქართველოს მოსახლეობა მსსვერპლი გახდეს იმ ვირუსისა, რომელმაც 2003 წელს იჩინა თავი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ორი წლის განმავლობაში თითქმის მთელ აზიას მოედო – ფრინველის ჭირის სახელით ცნობილი ფრინველის გრიპი (AVIAN INFLUENZA – HPAI).

ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ ვირუსის გავრცელების შიში საქართველოს ფარგლებში ხშირად ყოფილა, თუმცა შიში ნელ-ნელა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვირუსის საგალალო შედეგების შემცირების გამო ქრებოდა.

სანამ უშუალოდ ამ ვირუსთან გატარებული თუ გაუტარებელი ღონისძიებების შესახებ ვისაუბრებდე, ჩემი მხრიდან მინდა ერთი მეტად მოკრძალებული (მოკრძალებული იმიტომ, რომ მე მედიცინაში თითქმის არაფერი გამეგება) სიტყვა ვთქვა:

მე, სანდრო ნავერიანი ვცხოვრობ საქართველოში და მიმართია, რომ ჩემი ქვეყანა და ჩემი ქვეყნის მოსახლეობა ვიმსახურებთ თუნდაც იმას, რომ არჩევანი ჩვენით გავაკეთოთ. შესაძლოა ჩვენი არჩევანი არასწორი აღმოჩნდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველა დაზღვეულია ზედმეტი პასუხისმგებლობისგან.

### რაზი უნდა გავაკეთოთ არჩევანი?

როგორც უკვე მოგახსენეთ, ფრინველის გრიპი საემა-ოდ დიდ მასშტაბების ვირუსი აღმოჩნდა და ეს არ არის ჩვეულებრივი გრიპი, რომელიც სურდოს ინვევს. ალბათ, თუ რა შედეგები მოჰყვა ამ ვირუსს, ზუსტი მონაცემები არავის აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი იღუპება და, ალბათ დამეთანხმებით, ნებისმიერი დაავადება, რომელიც ადამიანის სიკვდილიანობას იწვევს, ყველასთვის ყველაზე საყურადღებოა.

მე არჩევანის გაკეთება მინდა იმაში, რომ მანახოს სახელმწიფომ რა საშუალებებით იბრძვის ამ ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ. შემოთავაზებულიდან მე საუკეთესო შევარჩიე და კიდევ ვიმეორებ, არავინ ამით არ დაზარალდება, რადგან მეც და, ვფიქრობ, მთელ საქართველოს აქვს იმდენი შეგნება, რომ ცუდს და კარგს შორის არჩევანი კარგის სასარგებლობით გააკეთოს.

ჩემი, ასე ვთქვათ, მოხსენების ბოლოს მინდა თხოვნით მივმართო ყველა იმ ორგანოს, რომელიც ვალდებულია ფრინველის გრიპის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთოს: არავითარ შემთხვევაში არ ეცადოთ და ბოროტად არ გამოიყენოთ თქვენი მდგომარეობა, ბოლომდე დაინარჯეთ და გააკეთოთ მაქსიმუმზე მეტი, თავს ზევით ახტით და ყველანაირი, ნებისმიერი საშუალებით შეაჩერეთ ეს იარაღი, რომელიც ისედაც გადაშენების პირას მყოფ ქართველ ერს კიდევ უფრო მოთხრის და თაობა აქ, ამ ათწლეულში განადგურდება. ამას თქვენ გავალდებულებთ თქვენი

მორალი, თქვენი შვილების მომავალი და, უბრალოდ, ადამიანურობა.

ნუ გამოიყენებთ ამ მდგომარეობას ბოროტად და ფულის საკეთებლად. აი, სულ ეს იყო ის, რისი თქმაც მე მინდოდა, ახლა კი უშუალოდ იმაზე, თუ რა ზომებია მიღებული და პერსექტივივაში რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ საშინელი ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ.

2005 წლის ნოემბერში სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანიამ“ შესთავაზა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ფრინველის გრიპის წინააღმდეგ პრევენციულ ღონისძიებებს. პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარებულიყო გერმანიის ჰიგიენისა და მიკრობიოლოგიის საზოგადოების (გპმს) მიერ რეკომენდებული ეფექტური სადეზინფექციო საშუალებით „ალფა გარდი“. „ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანიის“ მიერ შეთავაზებული პრეპარატები მიეკუთვნება დეზინფექტანტების უმაღლეს კატეგორიას. ეს ის პრეპარატებია, რმოელთაც რეკომენდაციას უნდა შედეგების მიერ წარმოებული ფირმები, როგორიცაა კარლ შტოლცი, რიპარდ ვოლფი, პერტაქსი. ეს პრეპარატები შეტანილია ჰიგიენისა და მიკრობიოლოგიის გერმანული საზოგადოების მიერ რეკომენდებული პრეპარატების ნუსხაში. ეს ის დეზინფექტანტებია, რმოელთაც იყენებენ გერმანიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების კლინიკები. ეს არ არის ნანარმი, რმოელსაც თვითონ არ იყენებენ და იმპორტის, უკეთესი ნათქვამი იქნებოდა – გასაღების სახით გზაგნიან სხვა ქვეყნებში, როგორც ეს მრავალ სხვა შემთხვევაში ხდება.

„ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანიის“ მიერ შემოთავაზებული პრეპარატების ფასები რეალურად ხელმისაწვდომია, რაც, დამეთანხმებით, მთავარი თუ არა, ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია.

საუკეთესო დეზინფექცია უნდა ხასიათდებოდეს შემდეგი თვისებებით:

1. სწრაფი მოქმედება.
2. მაღალეფექტურობა.
3. დეზინფექტანტის უვნებლობა ადამიანის ჯანმრთელობაზე.
4. დეზინფექტანტის სუნის არარსებობა, უარომატობა.
5. ბიოდეგრადაცია (ბიოლოგიური სისუფთავე).
6. იოლი მოხმარების ფორმა.
7. შენახვის ხანგრძლივი ვადა.
8. მოქმედების ხანგრძლივი დრო.

პირადად, დიდი სიამავალი მინდა ალვინშნო, რომ „ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანიის“ მიერ შემოთავაზებული ყველა პრეპარატი შეიცავს ყველა იმ კომპონენტს და მოთხოვნას ასი პროცენტით აკმაყოფილებს, მთავარია მისი სწორად გამოყენება.

„ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანიის“ შეძლებს ეპიდემიების საშინელოების თავიდან აცილებას. ამ ორგანიზაციის პარტნიორები არიან ისეთი ფირმები, რომლებიც მომოცდა-

ათ წელზე მეტია ამ სფეროში წარმატებულად მოღვაწეობა: DR. DEPPE, CLOVERTINE EXPORT, DETIA DEGESCH...

აქ საუბარია არა მარტო ფრინველის გრძელის ეპიფემიაზე, არამედ ამერიკულ პეპელაზე, მაღარაიაზე, ლეიშმანიოზზე, ტუბერკულოზზე, A, B, C ჰეპატიტსა და სხვა ვირუსულ ინფექციებზე, ბატტერიებზე, მიკრობებზე დაავადებათა წარმომქმნელ კერებზე.

„ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანიას“ წარმომადგენლობ-  
ები გახსნილია საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ქუთა-  
ისში, ბათუმში, ფოთში, თელავში.

ფრინველის გრიპის შესახებ არაერთხელ თქმულა და დაწერილა. სამწუხაროდ, ბეჭდვითი სამყარო არაობიერტუ-რად აშეუქებს ფრინველის გრიპის წინააღმდეგ გატარებულ ორნისძიებებს. სტატიები, რომელთაც არაკეთილსინდისიერად აშეუქებენ ამ პრობლემას და მისი გადაჭრის ზომებს, მოსახლეობაზე უარყოფითად მოქმედებს და ადამიანი, რომელსაც ობიექტური მიზეზი აქვს, იყოს მშვიდად, ამ უაზრო და განუკითხავი, ყოველგვარ სიმართლეს მოკლებული სტატიების გამო შეშფოთებულია. ამ სტატიებში იგრძნობა მნერლის (ამ შემთხვევაში შურნალისტის) სრული არაპროფესიონალიზმი და რაც ცველაზე სამწუხაროა – უვიცობა. მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში დეზინფექცია და სტერილიზაცია მოყვანილია, როგორც ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვა. სიმართლე ზევითაც ვაღიარე – მედიცინაში, ფაქტობრივად, არაფერი გამეგება, მაგრამ დეზინფექციასა და სტერილიზაციას შორის განსხვავებას ეხედავ და ვიცი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დამაინტერესა და ვიკითე. აյ ნახსენები სტატიები კი ინერება ერთი ამოსუნთქვით, შეუგნებლად და უბრალოდ იმიტომ, რომ სტატია დაინეროს და არა იმიტომ, რომ ეს სტატია მკითხველისთვის იყოს ინფორმატორი და არა დეზინფორმატორი... დამეთანხმებით, ალბათ, რომ დეზინფორმაცია ყოველთვის სავალ-ალო შედეგებს იწვევს და არც ახლაა გამორიცხული, უკვე აღმოჩნდეს ისეთი ადამიანი, რომელმაც ამ სტატიებით იხ-ელმდღვანელა.

„ქორჯიანი ინდუსტრიალ კომპანიის“ კონსულტაციაზე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიონისტი, აკადემიკოსი ბატონი გიორგი ჩახუძაშვილი აცხადებს, რომ იმისათვის, რათა შექმნებული იქნეს, ანუ პრევენციული ღონისძიებები შედგინანად გატარდეს (ანუ გაგრძელდეს, რადგან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე გაატარა ეს ღონისძიებები. ამაზე ქვემოთ), საჭიროა შეიქმნას ერთგვარი სამკუთხედი. სამკუთხედის ერთი პირველი და მთავარი კუთხე დღესდღეობით არის და, ალბათ, მერეც უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მეორე კუთხეს ჯანმრთელობისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტრო უნდა ნარმოადგენდეს. პრაქტიკულად, დღეს ეს ორი კუთხე ერთობლივად მუშაობს და სწორედ ეს ორი კუთხე უნდა შეკრას მესამემ - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებოლმა ეკოლოგიის ფეპარტამენტმა.

ამ სამ სტრუქტურას რეალურად შეუძლია ფრინველის გრძელის წინააღმდეგ შედეგიანი ბრძოლა გააგრძელოს და იმ კონდიციამდე მიიყვანოს, რომ საქართველოში არ შეიქმნა საფრთხე ამ ვირუსის გავრცელებისა.

ბატონი გიორგისა და „ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის“ აზრით, რომელიც სავსებით რეალურია, შესაძლებელია ბრძოლა ქათმის გრიფთან ისე, რომ საქართველოს სასაზოგარეთ პონტიაქი არ იწინებ ბოლო იურიებულობა და მუშაობათ

იმუშაონ ჩვეულ რეჟიმში.

„საქართველო ცივილიზაციული ქვეყანაა და არ შეიძლება ჩა ჩვენ, ოცდამეტრთ საუკუნეში ვირუსების წინააღმდეგ ქლორით ვაბრძოლოთ. ეს არ შეიძლება, რადგან ქლორის დიდი დოზით გამოყენების შემთხვევაში დაბინძურდება გარემო, რაც გარკვეულწილად დამატებით საზრუნვას გაგვიჩენს, ხოლო უბრალოდ, იმ პრობლემას, რომლისთვისაც ქლორი იქნა გამოყენებული, ვერანაირად ვერ გადაჭრის. ჩვენ არ ვართ პაპუასები და უნდა ვაცნობიერებდეთ ამას. უნდა ვიცოდეთ, რომ ექიმებაშის გამოგონილ, კუსტარულ-ად დამზადებულ პრეპარატს ის პრეპარატი სჯობია, რომელსაც სწორედ ის ქვეყნები იყენებინ, რომელთაც გვინდა დავემსგავსოთ და ჩვენთვის ეტალონები არიან. არ შეიძლება ადამიანზე ჩაატარო ექსპერიმენტი მაშინ, როცა ამის აუცილებლობა არ არის და მეტიც, ამ ექსპერიმენტს შესაძლოა, ტრაგიული შედეგი მოჰყევს. მაგალითად, თურქეთს მოვიყენა. ქვეყანა, რომელსაც პრეტენზია აქვს ევროკავშირში გაერთიანებაზე, ქათმის გრიძს ვენახის შესანამლი მოწყობილობით ებრძებას – ექსპერიმენტებს ატარებს, რამაც უკუშედეგი მისცა. ჯობია, გადაიხადო რაღაც, გარკვეულწილად მეტი თანხა და შეიძინო პრეპარატი, რომელიც, დარწმუნებული ხარ, ეფექტურია, ვიდრე გროშები გადაყარო და არ იცოდე, რა შედეგს მოგიტანს. საპენინეროდ, ჩვენმა მთავრობამ, პირადად პრეზიდენტმა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, მაპტონმა მიხეილ სვიმონიშვილმა გადადგეს სწორი ნაბიჯები და ჩვენ მიერ შეთავაზებული პროგრამის აქტუალობა ჯეროვად შეფასდა.

დაპოლოს, მინდა ვთქვა, რომ ფრინველის გრიპთან ბრძოლა ეფექტურად მიმდინარეობს, მაგრამ ერთი წამით მოდუნებამაც კი შეიძლება არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს. ჩვენ კი, არ გვინდა საგალალო შედეგები. ჩვენ შვილები გვყავს, რომელთაც, უბრალოდ, სჭირდებათ ჯანმრთელობა და ჯანსაღი გარემო. ჩვენ ამისთვის ვიბრძვით და ვიბრძვით მთელი ძალებით. არ გვინდა ჩვენი ძალები დავზიოგოთ და ერის და უფლის წინაშე არ ვიყოთ მართალწინ“. – განაცხადა ბატონიშვილი გიორგიმ მთელი „ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის“ სახელით.

როგორც ბატონშიმა გიორგიმ აღნიშნა, მთავრობამ მართლაც მიიღო ზომები ფრინველის გრიპის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი იმ იშვიათი შემთხვევათ-აგანია, როდესაც ხელისუფლება და ხალხი ერთ აზრზე არ-იან.

დაბოლოს, „ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის“ პარტნიორ გერმანელ მეცნიერთა ჯგუფისგან შევიტყვე, რომ ფრინველის გრიპი უფრო გამძვინვარდება, რადგან დაიწყება მწერების შემოსევა და ფრინველების გადაფრენა. ორივე მოვლენა თითქმის ორჯერ გაზრდის ვირუსის გავრცელების საფრთხეს.

Р.С. ხალხნო, ეს ადამიანები სიკეთეს აკეთებებს და ყველამ თქვენს გულებში ჩაიხდეთ, თქვენ თავს ჰქითხეთ: გინდათ, რომ თქვენი ახლობელი გახდეს ამა თუ იმ ინციდულის ან ვირუსის მატარებელი? დარწმუნებულივ არ, რომ არა და ამიტომაც კიდევ ერთხელ გთხოვთ, რომ ხელი არ შეუძლოთ ამ ხალხს – „ჯორჯიანი ინდუსტრიალ კომპანიის“. პირიქით, დაეხმარეთ, ხელი შეუწყვეთ.

ეს უკანასკნელი სიყტებები არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ ემოციური არ, განსაკუთრებით მაშინ, როდენ წევი ძართვალის კათილობას უხებდ საჭმა.

## რამაზ კუტუბიძე:

# თუ ქირურგი ასპროცენტიან გარანტიას გაძლიერები, ის ქირურგი აღარ არის



ექიმი და მოძღვარი ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან, რომ ერთი ფიზიკურად კურნავს ავადმყოფს, მეორე კი მის სულიერებაზე ზრუნავს, თუმცა, ექიმიც უნდა შეეცადოს, ავადმყოფს, გარკვეულნილად, სულიერადაც დახმაროს. გარდა ამისა, ექიმი ფსიქოლოგის როლსაც უნდა ასრულებდეს და პაციენტი, რაც არ უნდა რთულ მდგომარეობაში იყოს, უფრო არ შეაშინოს, პირიქით, ანუგეშოს. ამ ყველაფერზე, თსსუ-ის გ. უვანისას სახელმის, პედიატრიული კლინიკის დირექტორი, ბატონი რამაზ კუტუბიძე გვესაუბრება.

ბატონი რამაზი ქალაქ თბილისში 1942 წელს დაიბადა. 1959-1965 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო ფაკულტეტზე სწავლობდა, რომლის დამთავრებისთანავე, მუშაობა ჩოხატაურის რაიონში, ექიმ-ქირურგად დაიწყო. 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1974 წელს, კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა. ბატონი რამაზი 1970 წლიდან ბავშვთა ქირურგის კათედრის ასისტენტია, 1984 წლიდან კი კათედრის პროფესორი, ხოლო 1994 წლიდან კათედრის გამგეა. 1983 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. იყო რესპუბლიკის მთავარი სპეციალისტი, ლირსების ორდენის კავალერი, 1992-2000 წლებში პედიატრიული ფაკულტეტის დეკანი იყო. 1998 წლიდან 2005 წლამდე ხელმძღვანელობდა პედიატრიულ კლინიკას. ჟყავს ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

თსსუ-ის გ. უვანისას სახელის პედიატრიული კლინიკა, რომლის დირექტორიც ბატონი რამაზ კუტუბიძე გახსავთ, სათავეს 1985 წლიდან იღებს. თავდაპირველად, მას ქალაქის ბავშვთა №6, შემდეგ №2 საავადმყოფო ენოდა. 1997 წლიდან კი თსსუ-ს პედიატრიული კლინიკაა. იგი აკრედიტებული და ლიცენზირებულია, როგორც თსსუ-ს მრავალპროფილიანი სტრუქტურული ერთეული და პედიატრიული ფაკულტეტისთვის, ძირითად სასწავლო ბაზას წარმოადგენს. კლინიკაში სხვადასხვა მიმართულების ბლოკი და განყოფილებაა. აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-პროფილაქტიკური, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

- ჩვენს კლინიკაში ისეთი იპერაციები კეთდება, რომლებიც 10-15 წლის წინ, წარმოუდგენლად გვეჩენებოდა. ასეთია, მაგალითად, თანდაყოლილი საყლაპავის ატრეზია,

თორმეტგოჯა ნაწლავის ატრეზია, აგრეთვე თანდაყოლილი გაუვალობები, ფილტვის განვითარების მანკები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თუ წინათ სიევდილიანობა 90 პროცენტი იყო, დღეს 15 პროცენტია, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან დიდი წარმატებაა. თუმცა, გამორიცხულია, ყველა ოპერაციამ შედეგანად ჩაიაროს. ქირურგაში გართულება ყოველთვის არის, რაც მარტო ექიმზე არ არის დამოკიდებული, აქ მთავარია, ავადმყოფის იმუნური რეაქცია.

ბატონი რამაზი პარალელს ავლებს ექიმის და პაციენტის ურთიერთობის წინა წლებსა და ახლანდელზე და აღნიშნავს, რომ მათი ურთიერთობა ადრე უფრო მოკრძალებული იყო, ვიდრე დღეს.

- პაციენტი, როდესაც საავადმყოფოში მოდის, მოითხოვს, რომ ყველაფერი მაღალ დონეზე იყოს. მას უნდა ისეთი გარემო დახვდეს, სადაც ყველაფერი თანამედროვე გარემო პირობებს შეესაბამება. აქ ლაპარაკი მარტო ექიმის მაღალ პროფესიონალიზმზე არაა, რა თქმა უნდა, ექიმს არა აქვს უფლება, დაბალ პროფესიონული იყოს, მაგრამ მარტო პროფესიონალიზმი არ განსაზღვრავს ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთობას. ძნელია, ისეთ ქვეყანაში, სადაც ჩვენ უცხოვრისთვის, სადაც საკამაოდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, კრიზისია ენერგეტიკაში, სოფლის მეურნეობაში და ასე შემდეგ, მარტო ერთი რამ, თუნდაც საავადმყოფი, ვერ იქნება ისეთ დონეზე, როგორსაც პაციენტი მოითხოვს. როთულ მდგომარეობაშია ექიმიც, რომელსაც მაღალი პროფესიონალიზმი აქვს და მის გამოვლენებაში გარემო არ უწყობს ხელს.

ბატონ რამაზს სჯერა, რომ მედიცინის გადასარჩენად მარტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარება არ კმარა, აუცილებელია, კერძო სადაზღვევო კომპანიებმაც იმუშაონ, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრი ადამიანი საერთოდ ვერ ეზღვევა, უსახსრობის გამო.

- ჩვენ სახელმწიფო ვერაფრით ვერ გაუძლებს იმას, რასაც მედიცინა მოითხოვს. უცხოეთის სხვა სახელმწიფო თუ ახერხებენ, იმიტომ რომ ბევრი სადაზღვევო კომპანია იქ და, გარდა ამისა, მათ საავადმყოფოს შემოწირულობებიც აქვთ. გარკვეული შედავათები ჩვენთანაც არის, ნულიდან სამ წლამდე ყველა ბავშვს ფულს სახელმწიფო უხდის, სამიდან თხუთმეტ წლამდე, სასწრაფო შემთხვევებიც სახელმწიფოს მიერ არის დაფინანსებული. კიდევ არსებობს უმწოდთა პროგრამა, რომელიც მზრუნველობამოცულებული ბავშვების დახმარებას ითვალისწინებს. ასეთი პროგრამა მარტო ჩვენს საავადმყოფოს გააჩნია და მას წარმატებითაც ვახორციელებთ. ბავშვებს საავადმყოფოდან აღარ უნდათ ხოლმე წასვლა, იმიტომ, რომ ექიმი და ექთანი თავს ევლებიან, პარაქტიკაზე მოსული სტუდენტი ეფერება. ვიდაცა რაღაცას ჩუქნის და ბავშვსაც მეტი რა უნდა. სხვაგვარად ხდება ხოლმე, როცა საქმე ქრონიკულ დაავადებასთან გვაქვს და მკურნალობას მოითხოვს. ეს საკმაოდ ძვირი ჯდება და თუ სასწრაფო იპერაცია არ არის საჭირო, არ ვაკეთებთ. მაგალითად, საყლაპავის ატრეზის იპერაცია ჩვენთან 1000 ლარამდე ჯდება, უცხოეთში მინიმუმ 10-15 ათას დოლარამდე ლირს. ამ იპერაციის

შემდეგ აუცილებლად უნდა ყურადღების მიქცევა, რომ სა-  
კლაპავი არ შევინწროვდეს. ამ სახის იპერაცია წლილია და  
დაახლოებით ოცი კეთდება, რაც ცოტა ნამდვილად არ  
არის.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში, რაც კი პედიატრების ძლიერი ნაკადია, თითქმის ყველა ჩვენს კლინიკაშია თავმოყრილი, მოზებედავად ოპერაციის სირთულისა, ისინი ყოველთვის მზად არიან, პასხურისმგბებლობა იკისრონ და ოპერაცია გააკეთონ.

— კლინიკაში ბევრი განყოფილება ფუნქციონირებს: ენდოკრინოლოგიური, ჰემატოლოგიური, კარდიორევმატოლოგიური, ასევე პედიატრიული პროფილის კათედრები და სხვა მრავალი, რომელიც მაღალიფიცირებული ექიმებითაა დაკამატებული. ჩვენ უფლება არც გვაქვს, სხვანაირები ვყიყოთ, რადგან ჩვენს იქით გზა აღარ არის. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მე და ქირურგი ოპერაციაზე ერთად ვმდგარვართ და მას უთქვამს ჩემთვის: ეხლა რა ვქნათ, ბატონო რამაზ? მე კი ვასუხობ, — ჩვენი პროფესიონალიზმი გვავალდებულებს, გავაკეთოთ. ამიტომ საჭიროა, დაწყნარდეთ და ნელ-ნელა მივყვეთ.

კულინრაზე ჯო-ენის სახელობის კარდიოქირუგია - ქართულ-ამერიკული ცენტრი ჩამოყალიბდა, რომლის დამფუძნებლის დიდ გულისხმიერებაზეც, პატონი რამაზი ბევრს საუბრობს.

– ჯო-ენი არაჩეულებრივი ქალბატონი იყო. ქართველები ძალიან უკუგარდით. იგი ხედავდა, რა პირობებში გვინდებდა ექიმებს მუშაობა და გვაფასებდა. ჩვენი მხრიდან კი, მას ქართული სუფრა და ცეკვა-თამაში არ დაკლება. იგი აპირებდა, ჩვენი კლინიკა თანამედროვე დონეზე გაეცეთებინა. მაგრამ სამწუხაროდ, არ დასცალდა. აქედან რომ გაფრინდა, ლენინგრადში ტვინში სისხლი ჩაეჭრა და ფინეთში გარდაცვალა. მან დაბარა, როცა მოვალები, ნანილი ნებტე ამერიკაში დაკრძალეთ, ნანილი – საქართველოში და მართლაც, მისი ფერფლი ჩვენი საავადმყოფოს ეზოშია დაკრძალული. ამ ქალის ასეთი დიდი საყვარული ახალგაზრდა ენთუზიასტი ექიმების დაშსაურებაა. ჯო-ენის სიკვდილის შემდეგ, ჩვენთან ურთიერთობა სხვა ქალბატონნა, სინდი ბასომ გააგრძელა, რომელმაც ჩვენგან ამერიკაში, ისრაელში და იტალიაში რეანიმატოლოგები ნაიყვანა და იქ ასწავლა ყველაფერი. იქიდან ჩამოსულები კი, მოგეხსენებათ, რა დონის სპეციალისტები იქნებიან.

კულინიკაში ისეთი ოპერაციებიც კეთდება, როგორიცაა, ნაღვლის ბუტის კისტის ოპერაცია, რომელიც მსოფლიოში იმდრნად იშვიათი შემთხვევა ყოფილა, რომ თურქე, ამ ოპერაციებს სპეციალურად აღწერენ.

- ჩევენს კლინიკში ასეთი 4-5 ოპერაცია გავკეთდა და, თანაც, ყველა წარმატებით. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, რაც არ უნდა ეცადო, მაინც ვერაფერს უშველი. ასეთია, მაგალითად, ბაგშევებში დაიფრაგმის თაქქარი. ეს დაავდება, თუ ბავშვს მუცელად ყოფნის პერიოდში ხუთ თვემდე განუვითარდა, ფილტვის ქსოვილი არ ვითარდება. პრაქტიკულად, ამ დროს ფილტვი არ არსებობს და როგორ გინდა უშველო. სხვა შემთხვევაში, თუ ფილტვის ქსოვილი განვითარებულია, ბევრი ავადმყოფი განკურნებულა. მე არ ვამბობ, რომ ჩემთან შემოსული ასა ბავშვიდნ ასივე გადარჩენილა. ასეთი რამ არ არსებობს. ქირურგი თუ ასპროცენტიან გარანტიას იძლევა, ის ქირურგი აღარ არის. მე მომავალის რომ ვაკეთებ, ვიცი, რომ პაციენტი უნდა გადარჩეს. მაგრამ ხომ არსებობს რაღაც გართულებები. წარმოიდგინეთ, რომ მარტო აპენდიციტს 200-მდე გართულება აქვს. მეორე და რთული საკითხია, როცა საქმე ისეთი ახალშობილის მეურნალობასთან გვაქვს, რომელიც ოპერაციის შედეგ, შესაძლოა, მთელი ცხოვრება ინგლიდად დარჩეს. არსებობს ასეთი „ბიიბი თოლუ“-ს სინდრომი, რომელიც ზუსტად იმას

ეხება, თუ რამდენად არის საჭირო ასეთი ბავშვის მცურნალობა. ასეთ შემთხვევაში, ექიმი აუცილებლად უთანხმდება ბავშვის მშობლებს ოპერაციის ჩატარებაზე და მათი პასუხის შემდეგ, ასეთი ბავშვი უნდათ თუ არა, ოპერაციას აკეთებს. ამერიკაში არის ასეთი კანონი, თუ ბავშვი საჯმაოდ დიდი ხანი იყო ასფიქსიაში და ისე დაიბადა, თუ ბავშვს ექიმის მიერ გაკეთებული ოპერაცია მხოლოდ სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს და თუ ბავშვი იპერაციის შემდეგ იჩვალიდი დარჩება, მაშინ ექიმს უფლება აქვს, ოპერაცია არ გააკეთოს, მშობელთან შეთანხმების გარეშე.

ბატონი რამაზის თქმით, საქართველოში ამ მხრივ რთულად არის საქმე და იგი იმ შემთხვევებსაც იხსენებს, როცა ახალშობილისთვის ოპერაციის მიმდინარეობის დროს, მშობელს არც მოუკითხია.

– ასეთი შემთხვევის დროს, მშობელი ტელეფონზე რეკავს და კითხულობს, როგორი იქნება მისი ბავშვი და ლირს თუ არა მისი სახლში წაყვანა. ჩვენ ვეუბნებით, რომ ნორმალური იქნება, ოღონძ ყურადღების მიქცვა სჭირდება. მშობელი გვეუბნება: მომეცით გარანტია, რომ კარგად იქნება და მხოლოდ ამ შემთხვევაში წავიყვან ბავშვს. ეს ერთი მომენტია, როცა ბავშვი იძაგდება და მშობელს ჯერ არც უნახავს (მანაზე აღარ მაქს ლაპარაკი), რა თქმა უნდა, მის მიმართ სიყვარულის გრძნობა არც აქვს განვითარებული. საუბედუროდ, ისიც მომზდარა, რომ დედას მშობირობის შემდეგ, იმსელა სტრესს ჰქონია, შვილი მოუნიჩვია. ანადა, ახალშობილს თუ არ მიეფურე და თავიდანვე შენი შრომა არ ჩადე, არც შეგიყვარდება. რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რამდენად ძნელია ავადმყოფი ბავშვის მოვლა. იგი დიდ ენერგიას მოითხოვს, მაგრამ ამ დროს, მშობელს უფრო მეტად უყვარდება შვილი. ამიტომ არის, როცა მშობელს იმის გარანტიას აძლევ, რომ ეს ბავშვი ჯანმრთელი იქნება, იგი მას წაიყვანს და გაზრდის. მაგრამ, როცა უუბნები, რომ 2-3 წელს იცოცხლებს ძალიან განიცდის და შეიძლება, არც გაზარდოს.

ჩვენი რესპონდენტს, როგორც ექიმს, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, სჯერა, რომ ექიმმა თუ ბავშვის ნდობა დაიმსახურა, ყველაფერი კარგად იქნება. რადგან არ შეიძლება, როცა ბავშვი ექიმთან მიდის, ექიმმა იგი შეაშინოს.

— ბავშვთან მოსყირობა ადგილი არ არის. როდესაც იგი საავადმყოფოში მიდის, სულ სხვა გარემოში ხვდება. ყოვლა შემთხვევები, როცა ექიმი ბავშვს გაუბრაზება და ამის შემდეგ ბავშვს ეს შიშები კარგა ხანს ჰქონია.

ბატონი რამაზი გულისტყვიფლს გამოხატავს იმაზე, რომ დღეს ექიმობისკენ სწრაფაა შეტყირდა და ძევრი ნიჭიერი ექიმი თავის გადასარჩენად მედიცინიდან ხან ბიზნესში, ხან ფარმაციაში და ასე შემდეგ, მიდიან.

- ჩემს ახალგაზრდობაში რამდენიმე ბიჭი ღამე საავადმყოფოში გმორიგეობდით და ქირურგს ვეხმარებოდით ხოლმე. პრატეტიკები ქალაქის პირველ საავადმყოფოში გვქონდა და იქ ექიმების ისეთი კოლეგტური იყო, რომლებმაც ქირურგია შეგვაყვარეს. დღეს, ძალიან ძნელია, სტუდენტი მოიყავან და ღამე გაათენებინო. ეს არც არის გასაკვირი, როცა სტუდენტი ინსტიტუტს ამთავრებს, სამსახურის ძებნას იწყებს. ვთქვათ, დიდი გაჭირვების შემდეგ იშორა, როგორ უნდა შექმნას მან მომავალში ოჯახი, როცა ერთი ოპერაცია საქმაოდ იაფი ღირს. სწორედ, ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ დღეს, ახალგაზრდებს ექიმობის სურვილი ნაკლებად აქვთ.

P.S. ამ დიდი ნარმატებების შემდეგ, პატონი რამაზის-თვის ყველაზე დიდი ნარმატება მაინც ის არის, როცა მათი პაციენტი სახლში ნასვლის წინ, მაღლობას ეუპნე-ბა და შინ ჯანმრთელი ბრუნება.

## ფარისებრი ჯირკვლის კვანძები: კლინიკური მნიშვნელობა, ღიაგნოსტიკა და მკურნალობა

### ნიკოლოზ ჩიტაია

**ექიმი-ედოკრინოლოგი, აუალაპის ედოკრინოლოგისა და ცეკლოარული  
ეადიცინის კლინიკა, სიათლი, ვაჭიგოფონის გამატი, ათე.**

ფარისებრი ჯირკვლის (ფჯ) კვანძები საკმაოდ ხშირია და მათ დიდი უმრავლესობა კეთილთვისებიანია. ფჯ კიბი შედარებით იშვიათია და კლინიკურად ვლინდება, როგორც კვანძი. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია ავთისებიანი კვანძების დროული გამოვლენა და დიფერენცირება კეთილთვისებიანი კვანძებისა და უმეტეს, რომ ფჯ კიბის აგრესიული მკურნალობა დროული დაიგნოსტიკის შემთხვევაში პაციენტის სრული განკურნებით მთავრდება.

ფჯ კვანძების სიხმრე ასაყათან ერთად მატულობს და მოზრდილი მოსახლეობის 4-7% აღენიშნება, ქალებს 4-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე მამაკაცებს (1). პატარა ზომის კვანძები, რომლებიც პაპილაცით არ ისანჯება (ე. ნ. ინციდენტალომები) გაცილებით ხშირია და 60 წლის ასაკში მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს აღენიშნება.

არჩევენ ფჯ კვანძების შემდეგ ტიპებს:

1. ადენომატოზური კვანძი, ანუ მაკროფოლიკულური, კოლოიდური კვანძი.

2. ადენომა, ანუ კეთილთვისებიანი სიმსივნე. მათ მიეკუთვნება: მიკროფოლიკულური ადენომა და ჰარტლის (HARTLE) უჯრედოვანი ადენომები.

3. კარცინომა (კიბო) – პაპილარული კიბო (80%), ფოლიკულური (11%), ჰარტლის (HARTLE) უჯრედოვანი კიბო (3%), მოდულარული კიბო (4%) და ანაპლასტიკური კიბო (2%).

4. ცისტები ან ცისტური (ანუ კომპლექსური) კვანძები.

5. ქრონიკული ანთებითი ინფილტრატები, მაგალითად, ლიმფოციტური ინფილტრატი ჰაპილოგის თირიოდიტის დროს, ან გრანულომატოზური თირიოდიტის დროს.

6. სხვადასხვა – მეტასტაზური კვანძები სხვადასხვა ორგანოებიდან, განვითარების დეფექტები, ფჯ პირველადი ლიმფომა.

ყველაზე ხშირია ე. ნ. კოლოიდური, ანუ მაკროფოლიკულური კვანძები და ფოლიკულური ადენომები. ფჯ კიბო გეგვდება მიახლოებით 5% შემთხვევებში, თუმცა შემთხვევით აღმოჩენილი მიკროსკოპული პაპილარული კიბო შეიძლება შეგვედეს 35%-მდე ქირურგიულ ან აუტოფსიურ მასალაში (2) (3). მათი უმრავლესობა არ იზრდება, პრობლემებს არ ინვესტ, და პაციენტები ასიმპტომური არიან.

მიკროფოლიკულური ადენომები, რომლებიც კეთილთვისებიან კვანძებს ნარმოადგენენ, ბიოფსიაზე ძალიან გვანან ფოლიკულურ კარცინომას (კიბოს). ამიტომ მათი განსხვავება მხოლოდ ბიოფსიით შეუძლებელია. ფოლიკულური კარცინომის დიაგნოზი დგინდება ქირურგიული ოპერაციის შემდეგ.

ფჯ კვანძების 15-25% შეიცავს ცისტის კომპონენტს (4) (5). თავის მხრივ, ყველა ცისტის 15% ნარმოადგენს ნეკროზულ პაპილარულ კარცინომას და 30% კი – ჰემორაგიულ ადენომას. ცისტური კვანძები პრობლემას ნარმოადგენს იმდენად, რადმენადაც ცისტური კომპონენტის გამო ბიოფსიის დროს კვანძის უჯრედების აღება ყოველთვის ვერ ხერხდება.

პაპილაციით ისინჯება ფჯ-ის კვანძები, რომლებიც 1 სმ-ზე მეტია ზომაში და ზედაპირულად მდებარეობენ. კვანძების უმრავლესობა, რომლებიც მცირე (<1 სმ) ზომისა და

ბორმად მდებარეობენ, არ ისინჯება. (6) (7) ეს მიუთითებს პალპაციის ნაკლებ სენსიტიურობაზე.

კვანძის შესაძლო კეთილთვისებიანობაზე მიუთითებენ შემდეგი ნიშნები:

\* ოჯახურ ანამნეზში აუტომიზური ფარისებრი ჯირკვლის დაგვადება (ჰამიმოტოს თირიოდიტი და სხვა), კეთილთვისების ანდა ჩიყვის არსებობა.

\* ტკივილი კვანძის პალპაციისას.

\* რბილი, გლუვი, მოძრავი კვანძი.

\* კვანძოვანი ჩიყვი დომინანტური კვანძის გარეშე.

კვანძის შესაძლო ავთვისებიანობაზე მეტყველებს:

\* ასაკი – ახალგაზრდებში (<20 წელი) და ხანდაზმულებში (>70 წელი) ფჯ კიბი ხშირია.

\* სქესი – კაცებში ავთვისებიანი კვანძები 2-ჯერ მეტია, ვიდრე ქალებში.

\* კვანძი (ები) და დისფაგია ან ხმის ჩახლეჩა.

\* რადიაციით დასხივება – განსაკუთრებით ბავშვობაში ან ახალგაზრდა ასაკში.

\* მაგარი, ფიქსირებული და უსწორმასწორო კვანძი პაპილაციით.

\* კისრს ლიმფური კვანძების გადიდება.

ბიოპიმიური ტესტი, რომელიც რუტინულად გამოიყენება ფჯ კვანძების შეფასებისას არის თირეოტროპული ჰორმონის (თტჳ) განსაზღვრა. ამ ჰორმონის შემონმება საშუალებას იძლევა გამოვლინდენ პაციენტები თირეოტესიკოზით, რომლითაც ეს მდგომარეობა კლინიკურად არ აღენიშნებათ.

იმ პაციენტებში, რომელთაც ოჯახურ ანამნეზში აქვთ ფარისებრი ჯირკვლის მედულარული კიბო, აუცილებელია კალციონინის გაზიომვა.

ფჯ კვანძების მეტაბოლური აქტივობა, ანუ მათი ფუნქციურის ტატუსი ფასდება რადიოიზოტოპიური კვლევით.

რადიონუკლიდურ სკანირებაზე გაიჩინება „ცხელი“, ანუ მოფუნქციონირე კვანძები და „ცივი“, ან „თბილი“, ანუ არაფუნქციური კვანძები. მრავალი რადიოლოგის აზრით, „თბილი“ კვანძი იგივე „ცივი“ კვანძია, რომელიც ღრმად მდებარეობს ფარისებრი ჯირკვლის სისქეში და ამის გამო სკანირებაზე იყიდება როგორც „თბილი“.

სტატისტიკურად ფარისებრი ჯირკვლის კვანძების აბსოლუტური უმრავლესობა (90%) რადიონუკლიდურ სკანირებაზე არის „ცივი“. ამიტომ „ცივი“ კვანძები უმრავლეს შემთხვევაში კეთილთვისებიან კვანძებს ნარმოადგენს, და რადიონუკლიდურ სკანირებაზე, გარდა იმისა კვანძი „ცივი“ თუ „ცხელი“, სხვა ინფორმაციას ვერ ვლებულობთ. ამიტომ „ცივი“ კვანძების შემთხვევაში შეუძლებელია და-დგინდეს, კვანძი კეთილთვისებიანია თუ ავთვისებიანი.

„ცხელი“ კვანძები, რომლებიც კვანძების მხოლოდ 10% ნარმოადგენენ, რადიონუკლიდურ სკანირებაზე, თითქმის ყოველთვის კეთილთვისებიანია. „ცხელი“, ანუ მოფუნქციონირე კვანძები ჰისტოლოგიურად ნარმოადგენენ ფოლიკულურ ადენომებს, რომლებიც თითქმის ყოველთვის (უიშვიათესი გამონაცილისის გარდა) კეთილთვისებიანი არიან. ამიტომ „ცხელი“ კვანძის შემთხვევაში ავტომატურად შეიძლება ჩაითვალოს, რომ კვანძი კეთილთვისებიანია და პა-

ციენტს სათანადო მკურნალობა ჩატარდეს სხვა დიაგნოსტიკური კვლევების (მათ შორის ბიოფსიის) გარეშე.

ვინაიდან ფარისებრი ჯირკლის კვანძების დიდი უმრავლესობა (90%) „ცივია“ რადიონუკლიდურ სკანირებაზე, რომელიც არ იძლევა წარმოდგენას კვანძის ავთვისებინ-ობის შესახებ, რადიონუკლიდური გამოკვლევა ნაკლებინ-ფორმატიულია და მისი ჩატარება რუტინულად რეკომენდირებული არაა.

რადიონუკლიდური კვლევა უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს ჰიპერთოროდიზმი აღნიშნება, რათა გამოვლინდეს ე. წ. „ცხელი“ კვანძები (კვანძების 10%), და პაციენტს ჩატარდეს დროული მკურნალობა სხვა დიაგნოსტიკური კვლევების გარეშე.

ულტრასონოგრაფიით (განსაუთრებით მაღალი სიხშირის ტრანსდუსერის გამოყენებით – 10 მგჸ და მეტი) შესაძლებელია ზუსტად განისაზღვროს ფჯ ზომა და ფორმა, კვანძების რაოდენობა და მათი მოცულობა, კვანძებში სისხლის მიმოქცევის ინტენსივობა (დოპლერის გამოყენებით), მიკროკალციფიკატების არსებობა, ცისტების ან სითხის არსებობა კვანძებში და ა. შ.

მიუხედავად დეტალური ანატომიური აღნერისა, ულტრასონოგრაფიით ვერ ხერხდება იმის დადგენა, კვანძი ეკო-ილოვისებიანია თუ ავთვისებიანი. თუმცა არსებობს რამდენიმე ულტრასონოგრაფიული ნიშანი, რომელიც გამოიყენება ე. წ. „საეჭვო“ კვანძების გამოსავლენად.

ულტრასონოგრაფიულ „საეჭვო“ ნიშნებს განეკუთვნება ჰიპერენერენიურობა, მიკროკალციფიკატების არსებობა, მომატებული (კვანძიდა) სისხლის მიმოქცევა დოპლერზე, „ჰალო“-ს ნიშნის არარსებობა და კვანძის უსწორმასწორო კიდევები. თითოეულ კვანძს შეიძლება ჰქონდეს ერთი, ორი ან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი.

ეკო-ილოვისებიანი კვანძის არსებობაზე მიუთითებს იზოეფოგნობა, კვანძშიდა მიკროკალციფიკატების და სისხლის მიმოქცევის არარსებობა, „ჰალო“-ს ნიშანი და სწორი, გლუვი კიდევები.

დღეისათვის არსებული მონაცემებით, ჯამშრთელ პირებში ან პაციენტებში, რომელთაც ფჯ გასინჯვეთ ნორმალური აქვთ, ულტრასონოგრაფიის რუტინულ გამოყენებას შედეგი არ მოაქვს. ამიტომ პაციენტებში, რომელთაც „ენდოკრინული მოშლილობის“ დიაგნოზი დაესმებათ, ულტრასონოგრაფიის გამოყენება მიზანერნონილი არაა. მით უფრო, რომ ულტრასონოგრაფია ფჯ-ის დეტალურ ანატომიას აღწერს და არა ფუნქციურ სტატუსს.

ასევე არ არის რეკომენდირებული ულტრასონოგრაფიის გამოყენება იმ პაციენტებში, რომელთაც აღნიშნებათ სხვა ორგანოების (საკვერცხე, ძერუ, თირკმელზედა ჯირკვალი და ა. წ.) კვანძოვანი და ცისტური დაავადებები, რადგან ფჯ კვანძები სხვა ორგანოების კვანძოვან დაავადებებთან კავშირში არა და ისინი დამოუკიდებლად ვითარდებან.

ულტრასონოგრაფია უტარდებათ იმ პაციენტებს, რომელთაც პალპაციით აღნიშნებათ ფჯ კვანძები, ან ფჯ პალპაციით კვანძის გამორიცხვა ვერ ხერხდება.

ულტრასონოგრაფიით დეტალურად აღინიშნება ფჯ კვანძები, გამოვლინდება „საეჭვო“ კვანძები და შეირჩევა ის პაციენტები, რომელთაც საჭიროა ჩატარდეთ ფჯ კვანძების ბიოფსია.

ნემისთ ბიოფსია არის პირდაპირი და უშუალო მეთოდი საკმაოდ ზუსტი ინფორმაციის მოსაპოვებლად ფჯ კვანძის თვისობრიობის შესახებ. ნემისთ ბიოფსია ტარდება ამბულატორიულად, თითქმის არა აქვთ გართულება და პაციენტი სპეციალურ მომზადებას ან სედაციას არ საჭიროებს.

ფჯ კვანძების ნემისთ ბიოფსიის სენსიტიურობა მერყეობს 68%-დან 98%-მდე. ხოლო სპეციფიურობა 72%-დან 100%-მდე (10, 11, 12). ულტრასაუნდის კონტროლით ჩატარებული ბიოფსიის დადებითი პროგნოზული ღირებულება

87,4%, ხოლო უარყოფითი პროგნოზული ღირებულება 100% აღწევს (13).

ჯერჯერობით არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, ჩატარდეს თუ არა ბიოფსია მცირე ზომის კვანძებში (<15 სმ). ბიოლოგიური ნილის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა (14) (15) აჩვენა, რომ ფჯ კიბოს შემთხვევითობა მცირე ზომის კვანძებში (<1,0-1,5 სმ) ანუ ფჯ „ინციდენტალმებში“ იგვევა, რაც ზომის კვანძებში. ამტკომ მრავალი თიროიდოლოგი მიჩნევს, რომ ფჯ კვანძების ბიოფსია უნდა გაეკეთდეს 1.0 სმ-ზე დიდ კვანძებში. ზოგი ექსპერტის აზრით, ბიოფსია საჭირო არა თუ კვანძი 1,5 სმ-ზე მცირე ზომისა და აქვს ყველა ულტრასინირგრაფიული ნიშანი, რაც კვანძის კეთილივესებიანობაზე მიუთითებს.

ბიოპტატის ანალიზისას არსებობს ოთხი შესაძლო ვარიანტი:

1. ეკო-ილოვისებიანი ბიოპტატი (ყველაზე ხშირი ვარიანტი) – ნარმოადგენს მიკროფლოიულურ, ან კოლოიდურ (ადენომატოზურ) კვანძს, რაც ფჯ ეკო-ილოვისებიანი ნარმონაქმნებია. ლიმფოციტური ინფლოტრატები, რომლებიც ხშირად გვხვდება ჰაშიმოტის თიროიდიტისას (ანუ ქრონიკული ლიმფოციტური თიროიდიტი) როგორც ფჯ კვანძები, ბიოფსიაზე ნარმოადგენენ კეთილოვისებიან ნარმონაქმნებს.

2. საეჭვო, ანუ „გარდამავალი“ ბიოპტატი – ნარმოადგენს მიკროფლოიულურ ადენომებს, ანუ „ფოლიკულურ ნეოპლაზიას“ ან „ჰარტლის (HARTLE) უჯრედოვან ნეოპლაზიას“.

საყურადღებოა, რომ ფჯ ფლოიდულურ კიბოს და ფლოიდულურ ადენომსა, ასევე ჰარტლის (HARTLE) უჯრედოვან კიბოს და ჰარტლის (HARTLE) უჯრედოვან ადენომას იდენტური ჰასტოლოგიური შენება აქვთ. განსვხავება იმაშია, რომ ფლოიდულურ კიბოს და ჰარტლის (HARTLE) უჯრედოვან კიბოს ახასიათებს კვანძის კაფსულისა და სისხლძარღვების ინვაზია, რაც დგინდება მხოლოდ კვანძის ქირურგიულად ამოკვეთისა და მთლიანი კვანძის დეტალური შესავლის შემდეგ.

თუ ფარისებრი ჯირკვლის კვანძების ბიოფსიის პასუხი არის „გარდამავალი“, აუცილებელია კვანძი ამოიკვეთოს, რათა დადგინდეს, ხომ არ არის კვანძის კაფსულისა და სისხლძარღვების ინვაზია, ანუ „გარდამავალი“ ბიოპტატის მქონე კვანძი ნარმოადგენს თუ არა კიბოს, საბედნიეროდ, ბიოფსიაზე „გარდამავალი“ კვანძების უმრავლესობას (დაახლოებით 80%) კაფსულისა და სისხლძარღვების ინვაზია არ აღნიშნება, ე. წ. ნარმოადგენენ კეთილოვისებიან სიმიგრეებს.

3. ავთვისებიანი, ანუ კიბო – პაპილარული (ყველაზე ხშირი), მედულარული, ანაბლაზიური, და ძალიან იშვიათ შემთხვევებში, მეტასტაზურ კვანძები სხვა მონაბრუნების და მონაბრუნების შემთხვევაში კვანძების საჭიროა ბიოფსიაზე „გარდამავალი“ კვანძების უმრავლესობას (დაახლოებით 80%) კაფსულისა და სისხლძარღვების ინვაზია არ აღნიშნება, ე. წ. ნარმოადგენენ კეთილოვისებიან სიმიგრეებს.

4. არასაკმარისი ბიოპტატი – დიაგნოზის დასმა შესაძლებელია არასაკმარისი ბიოფსიიური მასალის გამო. ამ შემთხვევაში საჭიროა ბიოფსიის განმაორება.

10 სხვადასხვა კვლევის მეტა-ანალიზის მიხედვით (1,10) ბიოფსიის შედეგის ეს ოთხი შესაძლო ვარიანტი სტატისტიკურად ასე გამოიყერება: კეთილოვისებიანი – 74%, „გარდამავალი“ ან საეჭვო – 11%, ავთვისებიანი – 4%, არასაკმარისი ბიოპტატი.

ფჯ კვანძების მკურნალობის პრინციპი დამოკიდებულია კვანძის ხასიათზე. პაციენტები კეთილოვისებიანი კვანძებით ჰირურგიულ ჩარევას არ საჭიროებენ და რეკომენდირებულია მხოლოდ კლინიკური დაცვირვება. არაა დადგენილი კვანძის მონიტორინგის სისტემა უმრავლესობას ფიზიკურ გასინჯვეთ გასინჯვეთს და ულტრასინირგრაფიას იმერიებს 6-12 თვეში, შემდეგ კი 12 თვეში ერთხელ. თუ კვანძი იზრდება, მაშინ ბიოფსიის უნდა განვითაროს იმერიებს 6-24 თვეში მეტი ბიოფსიის მიერებს 6-24 თვეში იმ

შემთხვევაშიც კი, თუ კვანძი ზომაში არ იცვლება. თუ კვანძი ზომაში კლებულობს განმეორებითი ულტრასონოგ-რაფიებისას, მაშინ ბიოფსიის განმეორება საჭირო არაა.

ბიოფსიაზე კეთილთვისებიანი კვანძი ქირურგიულად შეიძლება ამოვკეთოს თუ ეს პაციენტის სურვილია, ან თუ კვანძი დიდია და იწვეს კომპრესიულ სიმპტომებს – დისფ-აგიას, ხმის შეცვლას/ჩახლების ან კისრის არეში დისკო-ფორტის.

წლების წინ ლევოთიროქსინით მეურნალობა ფართოდ გამოიყენებოდა ფარისებრი ჯირკვლის კვანძების ზომაში შესამცირებლად. გამოცდლებამ აჩვენა, რომ ამ მიზნის მისაღწევად ლევოთიროქსინის მაღალი დოზებია საჭირო, რაც ხშირად იწვებს იატროგენულ ჰიპერთიროიდიზმს, რაც თავის მხრივ, ზრდის მოციმციმე არითმისა და ოსტეოპორო-ზის რისკს (10).

საეჭვო, ანუ „გარდამავალი“ ბიოპტატი წარმოადგენს მიკროფოლიკულურ ადენომებს, ანუ „ფოლიკულურ ნეო-პლაზიას“ ან „ჰარტლის (HARTLE) უჯრედოვან ნეოპლაზიას“. აქედან დაახლოებით 20% წარმოადგენს კიბოს (10%-30%) (10) – ფოლიკულურ კიბოს ან ჰარტლის (HARTLE) უჯრედოვან კიბოს.

თუ პაციენტს შემთხვევით აღმოაჩნდა „ცხელი“ კვანძი, მაშინ ქირურგიული ჩარევა შეიძლება აცილებული იქნას, რადგან „ცხელი“ კვანძების აბსოლუტური ურმავლესობა კეთილთვისებიანი ფოლიკულური ადენომებია.

ამიტომ, თუ პაციენტი ჰიპერთიროიდულია (ბიოქიმიური ტესტებით, რაც ბიოფსიამდე უნდა გაეცედეს), უნდა ჩატარდეს რადიოიზოტოპური კვლევა, რათა დაგინდეს, კვანძი „ცივია“ თუ „ცხელი“. „ცხელი“ კვანძის შემთხვევაში ბიოფსია საჭირო არაა.

თუ პაციენტი ჰიპერთირო-

იდული არ არის, მაშინ ტარ-ება ბიოფსია, თუ შედეგი „გა-რდამავალია“ (რაც 10-15% ხდება), მაშინ ზოგიერთი ავტორის აზრით უნდა ჩატარდეს რადიოიზოტოპური კვლევა, რათა გამოვლენილი იქნან იშვიათი პაციენტები „ცხელი“ კვა-ნძებით და ოპერაცია თავიდან იქნას აცილებული.

ფარისებრი ჯირკვლის კი-ბოს შემთხვევაში კეთდება ტოტალური თირიოდექტომია (გარდა პაპილარული მიკროკარცინომისა, ზომა  $<1.0$  სმ. ამ შემთხვევაში კეთდება ლობექტომია). პაპილარული და ფო-ლიკულური კიბოს შემთხვევაში გამოიყენება რადიოაქტი-ური იოდით მკურნალობა, და-ახლოებით 6 კვირის შემდეგ ქირურგიული ოპერაციიდან. ამის შემდეგ პაციენტები დე-ბულობენ მაღალი დოზით ლე-ვოთიროქსინს, რათა ფჯ მასტ-იტულირებელი ჰორმონი (თმ3)

ცოტათი დათორგულული იყოს, რაც კიბოს რეციდივს ამცი-რებს

არასაკმარისი ბიოპტატის შემთხვევაში უნდა განმეორ-დეს ფჯ კვანძის ბიოფსია. თუ მასალას აღება ვერ ხერხდ-ება განმეორებით ბიოფსიებზე უნდა დაისვას კვანძის ქირურგიული ოპერაციის საკითხი.

ცისტური კვანძები შეიძლება იყოს ავთვისებიანი. ამიტომ ბიოფსია უნდა ჩატარდეს ცისტური კვანძების შემთხვე-ვაშიც. ბიოპტატის აღება ცისტური კვანძებიდან შედარე-


ბით ძნელია (კვანძის მკვრივი ნაწილის მცირე ზომის გა-მო). და ხშირად ცისტური კვანძებიდან ბიოპტატი „არასაკ-მარისია“. ამიტომ ცისტურ კვანძებში ხშირად საჭირო ხდე-ბა ბიოფსიის განმეორება.

მცირე ზომის ცისტური კვანძებიდან ბიოფსიის დროს სითხის ამოღებისას ცისტური კვანძის ზომა ხშირად მცირ-დება, მაშინ როდესაც დიდ კვანძებში ცისტური სითხის ხელახლი დაგროვება ბიოფსიის შემდეგ მაღევე ხდება. ზოგადად, მიღვომა ცისტურ კვანძებზე ისეთივეა, როგო-რც ჩვეულებრივ კვანძებზე იმ განსხვავებით, რომ ცისტ-ურ კვანძებში „არასაკმარისი“ ბიოპტატი ხშირი პრობლემ-ა და განმეორებითი ბიოფსია ხშირად ხდება საჭირო.

„ცხელი“ ანუ ტოქსიკური, ანუ ჰიპერფუნქციური კვან-ძები კეთილთვისებიან ფოლიკულურ ადენომებს წარმოა-დგენენ უიშვიათესი გამონაკლისის გარდა.

მცირე ზომის ცხელი კვანძები ჰიპერთიროდიზმის არ ინგვევნ და მათზე შესაძლებელია დაკვირვება ჰერიოდუ-ლი ფჯ ფუნქციის მონიტორინგით. დიდი „ცხელი“ კვანძე-ბი ( $>25$  სმ და მეტი ზომაში) ხშირად იწვევენ ჰიპერთირო-იდიზმს და მათი მკურნალობა აუცილებელი ხდება რადიო-აქტიური იოდით ან ქირურგიული ჩარევით. ანტითაროდი-ული პრეპარატების ხმარება რეკომენდირებული არაა, რა-დგან ეს წამლები თუმცა ეფექტურია ჰიპერთიროიდიზმის დასათრგუნად, კვანძის ზომაში შემცირება და პაციენტის განურნება ვერ ხერხდება. ასევე რეკომენდირებულია „ცხე-ლი“ კვანძით გამონვეული სუბკლინიკური ჰიპერთიროი-დიზმის მკურნალობა, განსაკუთრებით ასაკოვან პაციენტე-ბში, ვინაიდან სუბკლინიკური ჰიპერთიროიდიზმი წარმოა-დგენს მოციმციმე არითმისა და ოსტეოპოროზის რისკ-ფა-ქტორს.

### ზემოთთქული შეიძლება შეფასდეს ასეთი სქემით:



საბოლოოდ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ფჯ კვანძები საკმაოდ ხშირია და მათი დიდი უმრავლესობა კეთილთვი-სებიანია. ფჯ კვანძის ნემსით ბიოფსია ზუსტი მეთოდია ავთვისებიანი და „საეჭვო“ კვანძების გამოსავლენად. ამიტომ ნემსით ბიოფსია არის ერთ-ერთი პირველი ტესტი, რომელიც ეუთიროიდულ პაციენტებს უტარდებათ ფჯ კვა-ნძის შეფასებისას, რათა ადრევულად გამოვლინდეს ფჯ კი-ბო და სათანადო მკურნალობით მიღწეულ იქნას გაჯანსა-დება.

## თავის ტკივილი ბავშვთა ასაკში

**მ.ქ. ხაჟაპშრიძე ნანა, ნეფარიძე შეთევანი, არგელაძე გვანცა  
(თსსუ გ.ჭვანის სახელობის პედიატრიული კლინიკა ნერგული განყოფილება)**

თავის ტკივილი (cephalgia) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სიმპტომს, რომელთანაც განსაკუთრებით ხშირად უხდებათ შეხება ექიმების. ცნობილია 45-ზე მეტი დაავადება, რომლის დროსაც თავის ტკივილი შესაძლოა იყოს ერთადერთი ან ძირითადი გამოვლინება კომპლექსურ სიმპტომაზე მიმდინარებით. მშობელთა საკმაოდ დიდი ნაწილი თვლის, რომ ბავშვთა ასაკში თავის ტკივილები არის ნერგული სისტემის დაავადებათა გამოვლენა, და რა იციან, რომ სინამდვილეში თავის ტკივილები უბრავესად წარმოადგენს სხვადასხვა სომატური დაავადების სიმპტომს.

დღესდღეობით თავის ტკივილებით მსოფლიოში იტანჯება მამაკაცთა 73 % და ქალთა 81%. ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს ბავშვებთან დაკავშირებით, თუმცა ცნობილია, რომ ბავშვებში თავის ტკივილის 60% მოდის სეილის ასაკში. თავის ტკივილის სისტემურა გამოვლენის მიზნით შეისწავლეს აშშ-ს ვირჯინის შტატში 9000 მოსწავლე, რომლებიც დაყვეს 2 ჯგუფად: I ჯგუფი მოიცავდა 7 წლამდე და II ჯგუფი 15 წლამდე ასაკის ბავშვებს. გამოკვლევის შედეგად მიიღეს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: ადგმოჩნდა რომ I ჯგუფში ბავშვთა მესამედს და II ჯგუფში ბავშვთა ნახევარს აწუხებდა თავის ტკივილი. აქედან ხშირი თავის ტკივილები I ჯგუფში 2,5 %, ხოლო II ასაკობრივ 15 %. გარდა ამისა გამოკვლევამ გამოავლინა კიდევ ერთი თავის ტკივილება, ამჯერად სქესთან დაკავშირებული: ჰუბერტულ ასაკში ბიჭებში თავის ტკივილი უფრო ხშირია, ვიდრე გოგონებში. ხოლო შემდეგ სისტემიგ მეტია გოგონებში. შეგავსი გამოკვლევები ჩატარდა ეკროპის სხვადასხვა ქვეწნებშიც, რისი შედეგებიც იყო თოთქმის იდენტური.

თანამედროვე კლასიფიკაციით, რომელიც ეფუძნება პათოგენურ პრინციპებს, გამოყოფენ თავის ტკივილის 6 ტიპს: სტრუქტურის მიხედვით: სისტელარელოვანი, კუნთოვანი დაჭიმულობის, ლიქვირდინამიური, ნევრალგიური, შერეული ტიპი და ფსიქოლგიი (ფუნქციონალური ხასიათის თავის ტკივილი). განასხვავებულ ასევე პირველად და მეორად თავის ტკივილებს.

თავის ტკივილების ნაციონალური ასოციაციის მიერ (IHS), მოწოდებულია თავის ტკივილების კლასიფიკაციის სქემა, რომლითაც ხელმძღვანელობენ ექიმები მოელი მსოფლიოს მასშტაბით.

ბავშვებში უფრო ხშირია სიმპტომური თავის ტკივილები, რომლის მიზეზების დადგენაც შეაძლებელია და ფუნქციური თავის ტკივილები, რომლის დროსაც ვერ ხერხდება გამომწვევის და სტრუქტურული დარღვევების გამოვლენა. ბავშვთა უმრავლესობას აწუხებს ფუნქციური თავის ტკივილები, როგორიცაა გაზირმობრული და დაჭიმულობის თავის ტკივილი, თავის ტკივილი დაკავშირებული ვეგეტატიურ დისტონიასთან და შაკიკის თავის ტკივილები. სიმპტომური თავის ტკივილების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ცხელებით მიმდინარე დაავადებები და ინფექციები. ნევროლოგიური მიზეზებიდან ეს არის ცნს-ის ანთებითი დაავადებები, განსაკუთრებით მენ-

ინგიტები.

შაკიკი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს “ტკივილს თავის ნახევარში”. ეს არის შეტევისმაგვარი ერთ-მხრივი თავის ტკივილი, რომელსაც თან ახლავს ვეგეტატიური დარღვევები, ზოგ შემთხვევაში პერიოდული ნევროლოგიური სიმპტომაზე ითვლით. კლინიკური გამოვლინების და შეტევის მიმდინარეობის მიხედვით განასხვავებენ შაკიკის მარტივ და ასოცირებულ ფორმებს. მარტივი ფორმისას შაკიკის შეტევა იწყება აურის გარეშე, ასოცირებული ფორმისთვის კი დამახასიათებელია აურის არსებობა. შაკიკის ზემოაღნიშნულ ფორმებს შორის ბავშვთა ასაკში უფრო ხშირია შაკიკის მარტივი ფორმები (შემოხვევათა 60-65%-ში) და შესაბამისად უფრო იშვიათია შაკიკის ასოცირებული ფორმები (35-40%-ში).

მარტივი ფორმის დროს თავის ტკივილი შესაძლოა დაიწყოს ნებისმიერ მომენტში, რომელიც უპირატესად ლოკალიზდება შუბლ-საფეთქლის არეში. თავის ტკივილი ძირითადად არის უნილატერალური (ერთმხრივი), თუმცა სკოლამდელ ასაკში ტკივილს შესაძლოა პერიოდის ბილატერალური მდებარეობაც. ხშირად თავის ტკივილის შეტევის დროს აღინიშნება პიპერესტეზია, ხინათლის, ხმაურის აუტანლობა, მგრძნობელობის გაძლიერება ენოსგით და ტაქტილურ გამდიზანებულებულ. შეტევისთვის დამახასიათებელია გულისხმევის და დებინების არსებობა, რომელიც იწყება ტკივილის შემსუბუქებას. შაკიკის დროს დამახასიათებელია შეწუხებული გამომეტყველება, სივერგმერთალე მტკიცნებულ მხარეს კონიუნქტივის პიპერემია, თვალის ქვემობის არეების ხილურჯე, ბავშვებში თავის ტკივილის შეტევა გრძელდება 1-2 საათი, თუმცა ის შესაძლოა განაგრძლივდეს. ბავშვთა ასაკში ხშირია სინდრომები: ცილდური დებინება, აბდომინალური შაკიკი, ბავშვთა ასაკის ვერტიგო, რომელიც წარმოადგენს შაკიკის ექივივალენტს.

შაკიკი აურით ეს არის შაკიკის კლასიფიკური ფორმა, რომლის სინდრომისაც დამახასიათებელია სხვადასხვა სახის აურის არსებობა. აურის ტიპები მრავალფეროვანია, თუმცა ტიპი მხედველობითი აურა (მხედველობითი პალიცინაციები). აურას თან სდევს მხედველობის, ხმენისა და მგრძნობელობის მოშლა, თუმცა შესაძლოა პაციენტმა დაკარგოს დროისა და სივრცის შეგრძნებაც. ამ დროს შესაძლებელია მეტყველების უნარის დაკარგვა და იშვიათ შემთხვევებში კიდურების დამბლაც კი. აურის შემდგომ იწყება თავად შაკიკის შეტევა. ამ დროს თავის ტკივილი ისეთი ინტენსივობისაა, რომ ზოგიერთს არ შეუძლია არათუ თავის მოძრაობა არამედ წარმოტოლაც კი, რადგან ბალიშთან შეხებაც კი ძლიერების თავის ტკივილს. ტკივილი შესაძლებელია გავრცელდეს სახეზე, კისერზე და მხრებზე.

შაკიკის დაიაგნოსტიკური კრიტერიუმებია: პარიქსიზმული ხასიათის პერიოდული თავის ტკივილი, აურის არსებობა, პულსირებადი ხასიათის თავის ტკივილი, შეტევის პერიოდში პიპერეკუზია და ფოტოფინები, შეტევის ხანგრძლივობა 1-2 საათით და მეტით, უნილატერალური (ერთმხრივი) ლოკალიზაციის

ტკივილი, დებინება, ტკივილის შემდგომი ძილიანობა, დაავადების გენეტიკური ხასიათი.

დაბაბულობის თავის ტკიფილი განსაკუთრებით  
ხშირია ბაგშეთა ასაქში. მისი მიზეზი ძირითადად  
არის თავის და კისრის კუნთების დაჭიმულობა. მის-  
თვის დამახასიათებელია ზომიერი ან სუსტი ინტენ-  
სივობის, მუდმივი, მონოტონური, მოჭერითი ხასიათის  
თავის ტკიფილი, რომელიც ძირითადად ორმხრივია  
(ბილატერალური). ტკიფილი იწყება თანდათანობით,  
ძირითადად დღის მეორე ნახევარში და მატულობის  
თანდათანობით. ის ყველაზე ხშირად ლოკალიზე-  
ბა ბიფრონტალურ, ბიოგრაპიტალურ, ბიტემპორალურ  
არეაბში. თავის ტკიფილს შესაძლოა თან ახლდეს  
ფოტოფონია ან ფონოფონია. შაკიგისაგან განსხვავ-  
ბით ამ ტიპის ტკიფილებისთვის დამახასიათებელი  
არ არის დებინება, გულისრევა და ფიზიკური აქ-  
ტივობის დაჭვეთება.

დეპრესიული თავის ტკიფილი ზოგადად ახლოს დგას დაკიმულობის ტიპის თავის ტკიფილებთან. ტკიფილი მოუღლების ენერგია დილით ან დამტ და ძლიერდება თანდათანობით. თავის ტკიფილი არის მდგრადი და არ იცვლება დღე-დამის მანძილზე. მისი ლოკალიზაცია გარიანტურია, მაგრამ ჩემირად ვრცელდება მთელი თავის გარშემო. “თითქოს ლურს-მანს ურტყამენ თავში”- ასე აღწერენ ბაგშვები ტკიფილის ხასიათს. ამ დროს აღინიშნება ძილის დარღვევა, უძილობა. ასევე დამახასიათებელია მოწყენილობა, დისფაგია, სუიციდის მცდელობა, ფიზიკური აქტივობის დაკვეთება, ანორექსია, სეკრეტობა და ა.შ.

ჰიპერტენზიული ტიპის თავის ტკიფილის დროს აღინიშვნება ქალასშიგა წნევის მომატება და ჩვეულებრივ გამოწვეულია ისეთი ტიპის ქალასშიგა პროცესებით როგორიცაა: სიმსივნე, ჰემატომა, არაქნოდიტო. აღსანიშვნავია ასევე ჰიპერტენზიული ცეფალური სინდრომი, რომელსაც რამე სპეციულური ეტიოლოგია არ გააჩნია და განიხილება, როგორც არასაეციფიური რეაქცია სხვადასხვა გაზო და ენდო გამლითიანებლებზე. ამ დროს აღინიშვნება ბალანსის დარღვევა ლიქვორის სეკრეციასა და შეწოვას შორის. ამ მდგრამარეობისთვის დამახასიათებელია ინტენსიური ხასიათის თავის ტკიფილი, რომელიც გრცელდება მთელი თავის არეში, თუმცა მაქსიმალურად გამოხატულია შუბლის არეში. პაციენტთა უმრავლესობა უზივის თვალის კაპლების მტკვრეულობას და მათზე ზეწოლის შეგრძელებას. დასაწყისისათვის ტკიფილი წნევება ძილის შემდეგ, მოგვანებით კი ის იწყება დამით (ძილის წინ). ამ მდგრამარეობისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მოულოდნებლი დებინება, გულისრევის გარეშე (თუმცა გულისრევის არსებობა რა არის გამორიცხული), რომელიც არ იწვევს ტკიფილის შემსუბუქებას. ასევე დამახასიათებელია ბრაზილიკარდია, ნისტაგმი, თავბრუქება, მსუბუქი ატაქსია და ვესტიტულური სისტემის დარღვევები. მკვეთრად გამოხატული ქალასშიგა ჰიპერტენზიის დროს აღინიშვნება მენინგეალური სიმპტომები:

ინუკეციების შედეგად გამოწვეულ თავის ტკიფილება უპირატესად გამოწვეულია ინუკეციური აგნეტებისა და მათი ტოქსინების ზემოქმედებით თავის ტკინის გარსებზე და სისხლარღვებზე. ამ ტკინის თავის ტკიფილები ხშირია მენინგიტის, ენცეფალიტის, ტკინის აძლევის, სუბდურული ემაიების ან სინეულიტის დროს. ტკიფილი ამ დროს შეიძლება იყის როგორც ძლიერი, ასევე ძალიან უფრო სუსტად გამოხადული “ზარმაცი” ტკიფილი. ტკიფილის გარდა შესაძლოა არსებობდეს

დეს მენინგიალური ნიშნები, მენინგიზმი, ზურგის ტკივილი, ფოტოფობია, ფონოფობია და პიპერაპუზია.

სისხლმარჯვოვანი დააგადებით გამოწვეული  
თავის ტკიფილები პირებში ვაგებატიური დისტონით  
შეიძლება აღმოცხვნებს ასთენიური ან სისხლძრღვო-  
ვანი (შაკიკისმაგვარი) ტიპით. სუბარაჟნოიდული სისხ-  
ლჩაქცევის დროს მოჭერითი ხასიათის თავის ტკიფილი,  
რომელსაც თან ახლავს გულისრევა და დებინება  
არის სისხლჩაქცევის ჰიპერტენზიული კრიზის გამ-  
ოყლინება. ბაგშეგებში და ახალგაზრდებში თავის  
ტკიფილი შესაძლოა გამოწვეული იყოს თავის ტვი-  
ნის სისხლძარღვების ანევრიზმებით. სუბარაჟნოიდუ-  
ლი სისხლჩაქცევისთვის დამახასიათებელია მოულოდ-  
ნელი შეცვლითი ხასიათის ტკიფილი და მენინგეალური  
სინდრომი, ღრმა რეფლექსების დათრგუნვა, ცნობიერების  
დათრგუნვა, შესაძლებელია სოპორის და კომის  
განვითარებაც.

ჰიპოტეზიური ტიპის თავის ტკიფილი შესაძლოა გამოწვეული იყოს თავ-ზურგ-ტვინის სითხის სეკრეციის შემცირებით. ჰიპოტეზიური სინდრომისას ტკიფილი ძირითადად დოკალიზდება თხემის და კეფის არეში. ის აღმოცენდება ვერტიკალურ მდგრამარეობაში და წოლისას მცირდება ან საერთოდ ქრება. ჰიპოტეზიური ტიპის თავის ტკიფილი ნაკლებად აწუხებს პაციენტს დილის საათებში. ის მატულობს დღის მანძილზე და პაციენტი იდგებს იძულებით პოზას. (თავის ქვემოთ დახრა, დაბალ ბალიზზე წოლა ამცირებს ტკიფილს). კლინიკურად ჰიპოტეზიური სინდრომი აღრეული ასაკის ბავშვებში არ გლინიდება, იშვიათად გვხვდება ასევე სკოლამდელ და აღრეული სასკოლო ასაკის ბავშვებშიც. ჩვეულებრივ ქალასშიგა ჰიპოტეზია გავხდება შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებში, განსაკუთრებით პრეპუბერტულ და პუბერტულ პერიოდში. ქალასშიგა ჰიპოტეზიისა და ქალასშიგა ჰიპოტეზიის ერთ-ერთ განმასხვავებელ სადიაგნოსტიკო ტესტს წარმოადგენს კისრის საუდლე გენებზე ზეწოლა. ჰიპოტეზიური სინდრომის დროს ზეწოლა აძლიერებს თავის ტკიფილს, ხოლო ჰიპოტეზიური სინდრომის დროს თავის ტკიფილი მცირდება.

თავის ტვინის ტრაგმული დაზიანება ხშირად ხდება ბავშვებში თავის ტკიფლის მიზეზი. ტრავმა შეიძლება იყოს დია და დახურული. ტრავმას როგორც წესი ხშირ შემთხვევებში თან ხდებს თავის ტვინის შერყევის, თავის ტვინის დაუქეილობის, თავის ტვინების ხელობისა და ქალაბშიგა სისხლნაქცევების განვითარება. ტრავმის დროს ჰემატომამ შეიძლება გამოიწვიოს თავის ტვინის მენინგელური გარსების დაჭიმვა, თავის ტვინის სისხლძარღვების დაჭიმვა ან მათი გაგლეჯა. თავის ტკიფლის აღმოცენების დასაწყისი და ტკიფლის ტიპი დამოკიდებულია ტრავმის სასიათზე. ტკიფლი ამ დროს სხვადასხვა ინტენსივობისა და ზოგჯერ თან ახლავს ცნობიერების შეცვალა, ღვიძებისა, სენტექვის შეცვლა, ოფლიანობა, ბრალიკარდია ან ტაქიკარდია, გუგების გაფართოება და ა.შ.

არსებობს თავის ტკივილების ტიპი, რომლის შესატყვის ინგლისურ ტერმინსაც წარმოადგენს “**Cluster**” ტკივილები. ეს არის შეტყვის მაგვარი თავის ტკივილი, რომლის სოფისაც დამახასიათებელია პერიოდული რეციდივები. ასეთ ტიპის თავის ტკივილები ძირითადად იწყება 20-40 წლის ასაკიდან და უფრო ხშირად მამაკაცობა სქესს ახასიათებს.

თავის ტკიფილის დიაგნოსტიკაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ანამნეზის სრულყოფილ შეფრებას. ამ დროს უნდა შეფასდეს თავის ზომები

და კონფიგურაცია, უნდა მოხდეს მტკიფრეული ნევროლოგიური წერტილების დადგენა, ობიექტური ნევროლოგიური და სომატური სტატუსის სრულყოფილ შეფასება, სრულფასოვანი პარაკლინიკური კალება სომატური და ნევროლოგიური მიმართულებით. საეციფიური ნევროლოგიური კალებადან უმნიშვნელოვანესია თავის ტვინის ტომპიურერული ტომოგრაფია მაგნიტურ-რეზონანსული იმიჯინგით. ხშირ შემთხვევებში საჭირო ხდება ეგზ-ს, თავის ქალის რენტგენოგრაფიის, თავის ტვინის ულტრაბგერითი კალება - დოკლერის, ასევე რეოგნცეფალოგრაფიის და ოქულისტის კონსულტაციაც. ლუმბალური პუნქტია სავალდებულოა კველა იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვებს აღნიშნებათ ცხელება, თავის ტკიფილი და კეფის კუნთების რიგიდობა (მენინგიტის ბუნების დასაღენად ბაქტერიულია თუ ვირუსული).

მეურნალობა უნდა მოხდეს პათოგენული მქანიზმების საფუძველზე თავის ტკიფილის ტიპის ზუსტი განსაზღვრის შემდეგ, თითოეული ტიპისათვის სპციფიური მიღობით. მოწოდებულია თავის ტკიფილის მედიკამენტოზური მკურნალობის შემდეგი სქემა: ანალგეტიკური საშუალებებიდან: პარაცეტამოლი, იბუპროფენი per os, დიკლოფენაკი რექტალურად. აცეტილსალიცილის მჟავა. შეტევვის კუპირებისათვის ერგოტამინის ჰიდროტარტრატი, გამოყენება ერგოტამინის კომბინაცია კოფენითან - კოფენტამინი. კოფენტი ერგოტამინის და კოფენინის გარდა შეიცავს ფენობარბიტალსა და ბელადონის ექსტრაქტსაც. Somerville-ის (1976) მონაცემებით ასეთი მკურნალობისას თავის ტკიფილის შეტევვის სრული კუპირება ხდება შემთხვევაში 20%-ში, ხოლო ნაწილობრივი

შემთხვევათა 72%-ში. შეტევვის კუპირებისათვის აუცილებელია ასევე ანტიასტამინური, საძილე და სედაციური საშუალებებიდან - ამიტრიპტილინი. შაკიკის განსაკუთრებულად მიმმდინარეობისას და პაროქსიზმების გახანგრძლივებისას მკურნალობაში აუცილებელია კრუნჩხევის საწინააღმდეგო პრეპარატების ხართვა (გაბაკენტინი, კარბამაზეპინი). მიმმდევანი გახანგრძლივებული შეტევვის და განსაკუთრებულად შაკიკური სტაციურის დროს სტაციონარულ პროტებში კეთდება პრედინიზოლონი. ამ დროს აუცილებელია ასევე დეპიდრატაცია, ანტიასტამინური პრეპარატების პარგნეტერალური შეყვანა წვეთოვნად. ხშირად გამოიყენება ბეტა ბლოკატორები პროპრანოლოლი და Ca-ის არხის ბლოკატორები (ნიმოდიანი, ვერაპამილი). ბლოლ წლებში ეფექტურად იყენებენ სეროტონინის ანტაგონისტებს მეტისერგილი, სანდომიგრანი, დიფაქანი. შაკიკის მკურნალობაში მნიშვნელოვანია შეტევვის შრომის პერიოდში რეფლექსოთერაპია, ფიზიოთერაპია და ფსიქოთერაპია.

განძეორებადი შწვავე თავის ტკიფილების მენეჯმენტში ანალგეზიური საშუალებების წარმატებით გამოიყენება მოცავს შემდეგი პუნქტების ზედმიწვენით შესრულებას: ზუსტად განსაზღვრული რაოდენობის პრეპარატების მიღება უნდა მოხდეს აუცილებლად თავის ტკიფილის საწყის ეტაპზე და უნდა იყოს ხელმისაწვდომი და მისაღებად მოსახერხებელი ბავშვებისათვის (განსაკუთრებით სკოლაში).

*Successful use of analgesics in the menegement of acute reccurrent headache includes: taking enough medication, taking medicatoin early in the course of headache, and making medication available to the child (especially at school).*

## ჰორმონდამოუპიდეგელი ცალმხრივი ბრიკტორენიზი პედიატრიული კურნალობისა

პროფ. ი. სამხარამა, გ. ადამაშვილი

ბავშვთა ქირურგიის გათედრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

**რეზიუმე:** გამოკვლევის მიზანი იყო დაგვედგინა ჰორმონდამოუპიდეგელი ცალმხრივი ჰემიმარიტი კრიპტორენიზმის მქონე პაციენტების პერიოპერაციულ მკურნალობაში ჰორმონოთერაპიის გამოყენების ეფექტურობა. შრომის ამოცანას შეადგენდა სათესლე ჯირკვლის მომწიფების მაჩვენებლების დინამიკის შედარებითი ანალიზი კრიპტორენიზმის პერიოპერაციულ მკურნალობაში ქორიონული გონადოტორეპინის გამოყენებისას და მის გარეშე. გამოკვლევამ მოიცვა 3-დან 12 წლამდე ასაკის 155 პაციენტი, რომელთაც დაუღინდათ ჰორმონდამოუპიდეგელი ჰემიმარიტი ცალმხრივი კრიპტორენიზმის დიაგნოზი და მკურნალობდენ თსსუ პედიატრიულ კლინიკაში. პაციენტთა საერთო კონტინგენტიდან 85 ავადმყოფი განაწილდა საცდელ ჯგუფში, სადაც კრიპტორენიზმის პერიოპერაციულ მკურნალობაში გამოყენებულ იქნა ჰორმონოთერაპია კრიოონული გონადოტორეპინით. დარჩენილმა 70 პაციენტმა შეადგინა საკონტრო-

ლო ჯგუფი, რომლებთანაც მხოლოდ განსხორციელდა დაავადების ქირურგიული კორექცია. გამოკვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პერიოპერაციულ პერიოდში ჰორმონოთერაპიის გამოყენებისას ჩქარდება ჯირკვლის მომწიფების პროცესები, რაც აუმჯობესებს დაავადების ფუნქციურ გამოსავალს. გამოკვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პერიოპერაციულ პერიოდში ჰორმონოთერაპიის გამოყენებისას ჩქარდება ჯირკვლის მომწიფების პროცესები, რაც აუმჯობესებს დაავადების ფუნქციურ გამოსავალს

კრიპტორენიზმი წარმოადგენს ბავშვთა ქირურგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას და უსშირეს ნოზლოგიას ბავშვთა უროლოგიაში. აღნიშნული დაავადების დროს ერთი ან ორივე სათესლე ჯირკვალი არ არის ჩამოსული სათესლე პარკში, რაც დაკავშირებულია მუცლადყოფნის პერიოდში მათი მიგრაციის დარღვევებთან. კრიპტორენიზმი უვლინდებათ დროულ ახალშობილთა 1%-ს ხოლო დღენაკ-

ლურგში მისი სიხშირე აღწევს 30%-ს. ცალკეულ  
აგტორთა მონაცემებით კრიპტორქეიზმი გვხვდება  
ასალშობილთა 5%-ში. უკანასკნელი საუკუნის მან-  
ძილზე მიმღინარე კვლევების მიზებდავად კრიპ-  
ტორქეიზმის ცალკეული ასკექტები არასრულადაა  
გაშექმნებული, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში გვხდე-  
ბა წინააღმდეგობრივი მონაცემები[1].

ცნობილია, რომ ნაყოფში სათესლე ჯირკვლები ჩაისახება და მდებარეობს რეტროპერიოდნებალურად, მუცლის უკანა კედელზე. მუცლადყოფნის მექქსე თვითიან ჯირკვალი პუნქტერის იოგის შეკუმშვასთან ერთად იწყებს დაშეებას. იგი გაივლის საზარდულის არხს და დაბადების მომენტისათვის ფიქსირდება სათესლე პარკის ძირზე. ამ პროცესის ნორმალური დასრულებისათვის საჭიროა როგორც დედის ქორიონული გონიადოტონინისა და ნაყოფის ლუთეოტონული პორმონების ოპტიმალური დონე, ისე საზარდულის მიღმიღებისა და სათესლე პარკის ნორმალური განვითარება[2].

თუ სათესლე ჯირკვალს დაშვების მომენტში პარკში შესასვლელთან შეხვდა დაბრკოლება შე-მაერთებელქსოვილოვანი ფირფიტების სახით, ასეთ შემთხვევაში ჰუნტერის იოგი ჯირკვალს გზას გაუკვლეს საზარდულის, ბოქვენის, ბარძაყის ან-შორისის მიდამოს კანქვეშა ქსოვილში. ასეთ შემთხ-ვევაში საუბრობენ სათესლე ჯირკვლის ექტოპი-აზე (დისტოპიაზე).

რეტენციულ სათესლე ჯირკვალში მოსალოდნელია სხვადასხვა გართულებები: შემოგრეხა და ნეკროზი, ტრავმული ორქიტი, ავთვისებიანი გადაგვარება, სპერმატოგენური ფუნქციის მოშლა და სხვა. ამრიგად, აქტუალურია დაავადების ძროული დიაგნოსტიკა და ადაქტაზე მკურნალობა.[4]

კრიპტორქიზმის მკურნალობა შეიძლება იყოს კონსერვატიული, ოპერაციული, ან კომბინირებული. 2 წლამდე ასაკში მკურნალობა როგორც წესი

კონსერვატიულია და მოიცავს ქორიონული გონა-  
დოტროპინის ინექციებს ჰურსობრივი სქემით. უკა-  
ნასკნელ წლებში კონსერვატიული მეურნალობი-  
სათვის აგრეთვე იყენებენ გონადოტროპინ-რილ-  
იზინგ ჰორმონს (კრიპტოკური)[3].

თუ კონსერვატიული მქურნალობა არაგვებქურია, ორ წელზე უფროსი ასაკის ბავშვებში ნაჩვენებია ოპერაციული მქურნალობა – ორქოდოკექსია. აგრძორთა ნაწილი აღნიშნავს, რომ გაუმართდებულია ჰიპოდაზიური სათესლე ჯირკვლის ოპერაციული გზით ჩამოტანა. მათი მოსაზრებით, კველა ასაკის პაციენტებში მიზანშეწონილია პერიოპერაციული კონსერვატიული მქურნალობით მიღწეულ იქნეს ჯირკვლის ზომებში მომატება და მხოლოდ შემდეგ განხორციელდეს ქირურგიული ჩარევა. ავტორები აღნიშნავენ კონსერვატიული მქურნალობის ფონზე ჩამოტენილი სათესლე ჯირკვლების შედარებით უკავებს რეპროდუქციულ ფუნქციას. სხვა ავტორები მიუთითებენ რომ 2 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებში პირმონორეაბის გამოყენება შესაძლოა ასოცირდებოდეს გართულებების გაზრდილ რისკთან[5].

ამრიგად, ჩვენი გამოკვლევის მიზანი იყო დაგვეღინა პორტმონდამოუკიდებელი ცალმხრივი ჰეჭმარიტი კრიპტოენცირული კონფიდენციალური მომსახურების მქონე პაციენტების პერიოდურაციულ მეურნალობაში პორტმონთერაპიის გამოყენების ეფექტურობა.

შრომის ამოცანას შეადგენდა სათესლე ჯირკვლის მომწიფების მაჩვენებლების დინამიკის შედარებითი ანალიზი კრიპტორქიზმის პერიოპერაციულ მკურნალობაში ქორიონული გონადოგროპინის გამოყენებისას და მის გარეშე.

გამოკვლევამ მოიცვა 3-დან 12 წლამდე ასაკის 155 პაციენტი, რომელთაც დაუდგინდათ ჰორმონ-დამოუკიდებელი ჰემარიტი ცალმხრივი კრიპტორ-ქიზმის დიაგნოზი და მკურნალობდნენ თსსუ პე-დიაგრიულ კლინიკაში.

პაციენტთა საერთო კონტინგენტიდან 85 ავადმყოფი განაწილდა საცდელ ჯგუფში, სადაც კრიპტორქიზმის პერიოპერაციულ მუზუნბალობაში გამოყენებულ იქნა ჰორმონობროფრაპია ქორიონული გონადოგროპინით. დარჩენილმა 70 პაციენტმა შეადგინა საკონტროლო ჯგუფი, რომლებმათაც მხოლოდ განხორციელდა დაავადების ქოურგიული კორექცია.

კრიპტოენციალის დიაგნოსტიკური გამოყენებულ იქნა გამოკვლევის ფიზიკალური მეთოდები. აგრეთვე, ზოგად კლინიკური დაბორატორიული და ინსტრუმენტული მეთოდები. ჯირკვლის მდგრადობისა და მისი ზომების დასადგენად ვიყენებდით ულტრააბგრაფიულ კლემას.

კრიპტორეგისტრის ოპერაციული მუშაობა  
გულისხმობდა ორქიპექსიას. პორტონოვიაპია  
წარმოებდა ქორიონული გონადობროპინით, კურ-  
სობრივად. ავადმყოფებს პოსტოპერაციულ პერი-  
ოდში უწარდებოდათ პრეპარატის ინექცია კვირა-  
ში იორჯერ ასაკობრივი დღზირებით. მკურნალო-  
ბის კურსი მოიცავდა 5 კვირას, ამრიგად გამოყ

ენებულ იქნა სულ 10 ინტეცია.

გამოკვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი შედეგები:

საცდელ ჯგუფში პერიოპერაციული პორმონოთ-ერაპიის დაწყებამდე ჯირკვლის მოცულობა ასკო-ბრივი ნორმის 30-40%-ს შეადგენდა 24 ავადმყოფთან (28,2%), 40-60%-ს - 32 პაციენტთან (37,6%), 60-80%-ს - 28 ბავშვთან (32,9%), ხოლო 80-100%-ს - 1 ავადმყოფთან (1,3%). პორმონოთერაპიის დასრულებისას (ოპერაციიდან 1-1,5 თვის შემდეგ) ჯირკვლის მოცულობა ასკობრივი ნორმის 30-40%-ს შეადგენდა 1 ავადმყოფთან (1,3%), 40-60%-ს - 24 პაციენტთან (28,2%), 60-80%-ს - 41 ბავშვთან (48,2%), ხოლო 80-100%-ს - 19 ავადმყოფთან (22,3%). პორმონოთ-ერაპიის დასრულებიდან 1-1,5 თვის შემდეგ (ოპერაციიდან 2-3 თვის მერე) ავადმყოფები, რომელთა სათესლე ჯირკვლის მოცულობა შეადგენდა ასკო-ბრივი ნორმის 30-40%-ს არ დაფიქსირებულან, ნორ-მის 40-60% აღინიშნა - 16 პაციენტთან (18,8%), 60-80%-ს - 38 ბავშვთან (44,7%), ხოლო 80-100%-ს - 1 ავადმყოფთან (36,5%). აღსანიშნავია, რომ პორმონოთ-ერაპიის ფონზე 2 პაციენტს განუვითარდა მწვავე ორქიტი, რომელთა მონაცემები არ შესულა ჩვენს კლინიკურ მასალაში.

საკონტროლო ჯგუფში ოპერაციულ ჩარევამდე სათესლე ჯირკვლის მოცულობა ასაკობრივი ნორ-მის 30-40%-ს შეადგენდა 19 ავადმყოფთან (27,1%), 40-60%-ს - 27 პაციენტთან (38,6%), 60-80%-ს - 21 ბავშვთან (30%), ხოლო 80-100%-ს - 1 ავადმყოფთან (4,3%). ოპერაციიდან 1-1,5 თვის შემდეგ სათესლე ჯირკვლის მოცულობა ასაკობრივი ნორმის 30-40%-ს შეადგენდა 16 ავადმყოფთან (22,8%), 40-60%-ს - 28 პაციენტთან (40%), 60-80%-ს - 20 ბავშვთან (28,6%), ხოლო 80-100%-ს - 6 ავადმყოფთან (8,6%). ოპერაციიდან 2-3 თვის შემდეგ სათესლე ჯირკვ-

ლის მოცულობა ასაკობრივი ნორმის 30-40%-ს შეადგენდა 8 ავადმყოფთან (11,4%), 40-60%-ს - 30 პაციენტთან (42,8%), 60-80%-ს - 24 ბავშვთან (34,3%), ხოლო 80-100%-ს - 8 ავადმყოფთან (11,5%).

გამოკვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პერიოპერაციულ პერიოდში პორმონოთერაპიის გამოყენებისას ჩქარდება ჯირკვლის მომწიფების პროცესები, რაც აუმჯობესებს დაავადების ფუნქციურ გამოსავალს.

ამრიგად, პორმონდამოუკიდებელი ცალმხრივი კრიპტორქიზმის პერიოპერაციულ მკურნალობისას მიზანშეწინილია პორმონოთერაპიის გამოყენება, რაც დადებითად მოქმედებს პოსტოპერაციულ პერიოდში ჰიპოპლაზიური ჯირკვლის მომწიფების პროცესებზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. კუტებიძე რ. გაჩეჩილაძე თ. ბავშვთა ქირურგია – სახელმძღვანელო, თბილისი 2002. – 407გვ.

2. Исаков Ю. Ф. Хирургические болезни у детей Учебник – 2-е издание – М Медицина 1998

3. Docimo SG: The results of surgical therapy for cryptorchidism: a literature review and analysis. J Urol 1995 Sep; 154(3): 1148-52.

4. Huff DS, Hadziselimovic F, Snyder HM 3d, et al: Postnatal testicular maldevelopment in unilateral cryptorchidism. J Urol 1989 Aug; 142(2 Pt 2): 546-8;

5. Hutson JM, Baker M, Terada M, et al: Hormonal control of testicular descent and the cause of cryptorchidism. Reprod Fertil Dev 1994; 6(2): 151-6

6. Rajfer J, Handelsman DJ, Swerdloff RS, et al: Hormonal therapy of cryptorchidism. A randomized, double-blind study comparing human chorionic gonadotropin and gonadotropin-releasing hormone. N Engl J Med 1986 Feb 20; 314(8): 466-70

## Молекулярные изменения при острой дыхательной недостаточности у детей

**Абдушлишвили Н., Гиоргбиани М. Кафедра детской хирургии ТГМУ**

Среди заболеваний детского возраста респираторная патология занимает одно из первых мест, часто сопровождается острой дыхательной недостаточностью. Она возникает на фоне таких патологий, как инфекции верхних и нижних дыхательных путей, бронхиальная астма. Частота развитий этого осложнения обусловлено как анатомо-физиологическими особенностями бронхопульмонарной системы детского организма, так и нарушениями патогенетических основ на субклеточном уровне. С этой точки зрения

интересно изучения метаболизма свободных радикалов кислорода, механизма аутокаталитической деструкции мембран.

**Цель настоящей работы.** Исследование изменений интенсивности перекисного окисления липидов (ПОЛ) и состояния антиоксидантной системы организма при острой респираторной недостаточности у детей до 3 лет.

**Материал и методы исследования.** Под наблюдением находилось 50 детей в возрасте до 3 лет с клиническими

проявлениями острой респираторной недостаточности, возникшей на фоне острого вирусного ларинготрахеита, пневмонии и бронхиальной астмы. Контрольную группу составили 30 больных с теми же заболеваниями, но без признаков дыхательной недостаточности. О состоянии про- и антиоксидантной системы организма судили методом электронного парамагнитного резонанса (ЭПР), в основе которого лежит поглощение электромагнитной энергии веществом высокой частоты (кровью), помещенным в магнитное поле определенной напряженности. Об усилении процессов ПОЛ по интенсивности ЭПР сигналов церулоплазмина,  $\text{Fe}^{3+}$  - трансферина, генератора активных форм кислорода – ионов  $\text{Mn}^{2+}$ , метгемоглобина, а также инактивированных форм адrenom-рецепторов. Электромагнитный спектр крови регистрировался на радиоспектрометре РЭ 1307 в кварцевом сосуде Дьюар, при температуре жидкого азота.

**Результаты исследования и их обсуждение.** Церулоплазмин – многофункциональный фермент плазмы крови, обладающий как антиоксидантной, так и пероксидазной активностью. Окисляя ионы  $\text{Fe}^{2+}$  до  $\text{Fe}^{3+}$  в спектре ЭПР крови контрольной группы регистрируется окисленный целлулоплазмин ( $g=2,0056$ ),  $\text{Fe}^{3+}$  - трансферин ( $g=4,2$ ), а также сигналы  $\text{Mn}^{2+}$ , содержащие центров ( $g=2,14$ ), комплексов оксида азота с негемовым железом ( $\text{FeS-NO}$ ,  $g=2,03$ ) и характерный для активного состояния адrenom-рецепторов ( $g=2,003$ ) незначительной интенсивности. При респираторном дистрессе (углубленное и учащенное дыхание, дыхательные шумы при дыхании, усиленная работа грудной клетки, показатели газов в артериальной крови и сатурации гемоглобина в пределах нормы) сигнал ЭПР окисленного целлулоплазмина увеличивается на 25%, а сигнал  $\text{Fe}^{3+}$  - трансферина уменьшается на 35% по сравнению с контрольными значениями, что свидетельствует об активации перекисного окисления липидов (ПОЛ) и снижении антиоксидантных свойств крови. Снижение уровня  $\text{Fe}^{3+}$  - трансферина свидетельствует также об уменьшении интенсивности гемопоеза. Интенсивность сигнала ЭПР  $\text{Mn}^{2+}$

- содержащих центров на 40%, а комплексов оксида азота с негемовым железом на 140% превышают контрольные значения. Увеличение интенсивности  $\text{Mn}^{2+}$ , содержащих центров свидетельствует об активации процессов ПОЛ и инактивации супероксиддисмутазы (СОД). Сигнал ЭПР  $g=2,003$ , характерный для активного состояния адrenom-рецепторов уменьшается на 35% по сравнению с контролем. Частичная инактивация адrenom-рецепторов в данной группе должно быть обусловлена активацией ПОЛ и повышением концентрации эндогенных блокаторов адrenom-рецепторов – ионов  $\text{Mn}^{2+}$  (1). В спектре ЭПР крови регистрируются также сигналы, характерные для инактивированного состояния адrenom-рецепторов ( $g=2,01$ ) и  $\text{Mo}^{5+}$ , содержащий ксантиноксидазы являются показателями накопления цитозольного  $\text{Ca}^{2+}$  и интенсификации активности кальциево- зависимых ферментов. В свою очередь оксид азота и ксантиноксидаза в условиях инактивации СОД начинают генерировать активные формы кислорода и активирует ПОЛ.

В группе детей с декомпенсированной респираторной недостаточностью (нарушение механики дыхания, цианоз слизистых оболочек, понижение показателей парциального давления кислорода и сатурации гемоглобина) сигнал ЭПР окисленного целлулоплазмина увеличивается на 90%, а сигнал  $\text{Fe}^{3+}$  - трансферина уменьшается на 66% по сравнению с контрольные значения на 130%. На 70% уменьшается интенсивность сигнала адrenom-рецепторов., регистрируются сигналы, характеризующие инактивированное состояние адrenom-рецепторов, метгемоглобин и  $\text{Mo}^{5+}$ , содержащий ксантиноксидазу. Результаты исследования выявили, что при острой дыхательной недостаточности в организме детей наблюдается активация процессов ПОЛ, но при компенсированной форме интенсивность ПОЛ незначительна, тогда как при декомпенсированной респираторной недостаточности интенсивность образования генераторов свободных форм кислорода, оксида азота и ксантиноксидазы, а значит процессов пероксидации настолько велика, что способствует нарушению целостности

эритроцитарных мембран и гемолизу эритроцитов (на что указывает появление ЭПР сигнала метгемоглобина ( $g=6,0$ )).

Интенсификация образования оксида азота (NO) и ксантинооксидазы, в свою очередь свидетельствует об накоплении внутриклеточного  $Ca^{2+}$  способствующий секреции гистамина. Активное образование генераторов супероксид и гидроксил радикалов, снижение антиоксидантного потенциала организма и метгемоглобулинемия способствует дальнейшей интенсификации процессов ПОЛ и развитию деструктивных изменений в ткани легкого. Опираясь на литературные данные (1, 2, 3) можно предположить, что интенсивная инактивация адренорецептором является следствием воздействия аутоантител к адренергическим структурам. Однако нельзя не учитывать возможность инактивации адренорецепторов в результате нарушения целостности мембранных структур воздействием интенсификации перекисного окисления липидов.

Инактивация адренорецепторов в свою очередь способствует подавлению компенсаторных реакций организма и усугубляет патологический процесс.

#### Изменение парамагнитных центров крови с

состояние	активная форма адренорецепторов	ЦП	Fe3+	Mn2+	Fes-No
респираторный дистресс	7 , 80, 8	15, 01, 0	30, 00, 8	4, 50, 5	1, 50, 5
респираторная недостаточность					

#### Литература:

1. Lagunot D. The role of mast cells in asthma / Exper. Lung. Res. 1983, #4, p. 120-135.

2. Vehter I.C., Fraser C.M., Harrison L.C. Autoantibodies to  $\beta$ -adrenergic receptors. A possible cause of adrenergic hyporesponses in allergic rhinitis and asthma.

3. Homer L.T., Cain V.A. Enhancement of IgG antibody formation on rabbits by adrenergic antagonists / Int. Arch. Allergy. – 1979, v. 59, #1, p. 121-129.

4. Fraser C.M., Venter I.C. Autoantibodies to beta adrenergic receptors and asthma / J. Allergy and Clin Immunology – 1984, v. 7, #3, p. 227-229.

#### SUMMARY

**Molecular changes of acute respiratory failure in children Giorgobiani M.**

#### Tbilisi State Medical University

